# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 19 ივლისი, 2013 წელი.

№135 (7262)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## 17 ივლისის ნანუკას შოუს ეხმაურებიან



②

## ის, რასაც კაცობა უნდა, აკუკი!



②

## შესუსტება თუ სრული დაკარგვა?

## „სახიფათო საპრეზიდენტო კი არა, შემდეგი ადგილობრივი არჩევნებია“

③

## საქართველო-ირანის სავიზო დავიდარაბა



⑤

### ხელისუფლებავ, დაგვიგდე ყური!

## გამომცემლობა „სამშობლო“ – პრესის სახლი

ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეში, დიდი იმედია, აუცილებლად გათვალისწინებული იქნება სამშობლოს მსახური ჟურნალისტებისთვის ანტიდემოკრატი და პოლიტიკური ყაჩაღის, ცრუპრეზიდენტ სააკაშვილის მიერ წართმეული გამომცემლობა „სამშობლოს“ დაბრუნება პრესისთვის, რომელიც მთელი შემართებით მხარში ედგა დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლას, ანუ იმ ჭეშმარიტად სახალხო ძალას, ეს სამართლიანობა ერთხელ და სამუდამოდ რომ უნდა დაამკვიდროს საქართველოში!...

„სამშობლო“ არ უნდა გაყიდულიყო, მაგრამ რადგან სამარცხვინო ვაჭრობის საგანი გახდა, ახალმა ხელისუფლებამ ეს უთუოდ დიდი ეროვნული დანაშაული იმით უნდა გამოასწოროს, რომ კაზინოებისა და ვაითუ კიდევ უფრო უარესი საქმისთვის გაყიდული „სამშობლო“ კვლავ ჟურნალისტებს უნდა დაუბრუნოს, და რაც შეიძლება მალე!

ქუჩაში გამოყრილი ათეულობით რედაქცია მოუთმენლად ელის ამ დღეს.

ამჟამინდელი მდგომარეობით პრესა ახალი ხელისუფლების გვერდით დგას, იმედია, ხელისუფლებაც დადგება პრესის გვერდით!...



## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

**თანსინადეფსიანები**

# ის, რასაც კაცობა უნდა, აკუკი!

**კაკოს ეხება ეს თიკუნი, ბობოხიძეს, საპარლამენტო უმცირესობის წევრს. თურმე როგორი მგრძნობიარე და თავმოყვარეობის გრძნობაგამახვილებული ყოფილა ჩვენი აკუკი, როცა საქმე პირადად მას ეხება, ანაც გნაცმოძრაობელთა დეპუტაციისთვის რაღაც მოვლენა-ფაქტისადმი საბოტაჟის გამოცხადების მიზეზ-საბაბის გამოძებნაა საჭირო.**

ასე იყო გუშინაც რუსთავში, კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების განმხილავი კომისიის გასვლითს სხდომაზეც.

სწორედ იქ გაგვებუტა აკუკი, რომელსაც გნაცმოძრაობის კუდის ამწევი „რუსთავი-2"-ის ეთერით მისი არანაკლებ „სათუთი" გრძნობების პატრონი კოლეგა სერგო რატიანი გამოეხმაურა: **რუსთავში „ქართულმა ოცნებამ" თავისი აქტივისტები მიიყვანა, რომლებმაც ეს შეხვედრა ჩაშალეს, ამიტომაც აწი ჩვენი დეპუტაცია ამგვარ განხილვებში მონაწილეობის არ მიიღებსო.**



კუდის ამწევი-მეთქი, შემთხვევით არ მითქვამს „რუსთავი-2"-ზე, რადგან მას, როგორც საერთოდ სჩვევია, სრულად არ უჩვენებია, რა მოხდა დარბაზში, უბრალოდ რომელიღაც ქალბატონთან და მამაკაცთან აკუკის წაკამათების მომენტი აჩვენა.

სამაგიეროდ, „მაესტროს" ეთერით ვნახეთ, რომ იმ ქალბატონს არაფერი არ უთქვამს მგრძნობიარე აკუკისთვის მიუღებელი და, მით უფრო, შეურაცხმყოფელი. პირიქით, მან დაარიგა უმცირესობის წარმომადგენელი, — **ბატონო აკაკი, ხმას ნუ უწევთ, თქვენ რუსთავში ხმამაღლა ლაპარაკის უფლება არა გაქვთო.**

და განა მხოლოდ რუსთავში! **სინდისი რომ სინდისობდეს, გნაცმოძრაობელნი ხმას უწევდნენ და ყვიროდნენ კი არა, საერთოდაც არ უნდა ჩნდებოდნენ ხალხმრავალ ადგილებში.**

რაც შეეხება თითქოსდა შეურაცხყოფის მიყენების გამო აღშფოთებას, **ერთ მაგალითსღა შეგახსენებ შენივ საპარლამენტო ცხოვრებიდან, არ მოვერიდები ამ შეფასებას, ხულიგანო აკუკი:** პარლამენტის სხდომაზე დეპუტატ პეტრე მამრაძისთვის სილის გაწვნაზე მოგახსენებ.

კიდევ კარგი, ბატონ პეტრეს მაგარი ნერვები და, რაც მთავარია, შენგან განსხვავებით, დიდი შინაგანი კულტურაც აქვს, **თორემ ისიც, კარგად ნავარჯიშევი და კრივში სპორტის ოსტატი, შენებრ ხულიგნურად რომ მოქცეულიყო და ხელი შემოებრუნებინა, ვინ აგკრეფდა მერე?**

ეს ერთი მაგალითიც კმარა. ამიტომ თუნდაც პირდაპირ ტელეეთერში შენ მიერ ჟურნალისტის ცემასა თუ სხვა უკეთურობებზე არაფერს ვიტყვი.

რატომ არ აღშფოთდა მაშინ, ვინმე გნაცმოძრაობელთაგან, რომელთაც მე **თანსინადეფსიანები** (თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომიანები) შევარქვი?

და ბოლოს, შენ რომ რეალობის აღქმის უნარი და სინდისი გქონდეს, გნაცმოძრაობის ხელმძღვანელებს კი არ უნდა მოუწოდებდე, თანამდებობიდან გადადექითო, არამედ ხმამაღლა უნდა ამბობდე: **ვაღიარებ ჩემს წილ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, ბოდიშს ვიხდი გნაცმოძრაობის ნაავკაცარისთვის და ვტოვებ ამ დანაშაულებრივ ორგანიზაციასო.**

მაგრამ ამას ხომ კაცობა უნდა, რაც შენგან ნაკლებად მოსალოდნელი კი არა, წარმოუდგენელიცაა!

# შესუსტება თუ სრული დაკარგვა?

**ერთ ბერძნულ სიტყვასთან, ამნეზიასთან დაკავშირებით დავსვი ეს კითხვა ქვესათაურში. მეხსიერების შესუსტება ან სრული დაკარგვა — ასეა „გაშიფრული" ეს ტერმინი „უცხო სიტყვათა განმარტებით ლექსიკაში". იგი კი სააკაშვილმა გამახსენა — „ოთხი დღის მათხუარმა", როგორც ენამოსწრებულად შეარქვეს მას სოციალურ ქსელში პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების თარიღთან დაკავშირებულ იწილო-ბიწილოს გამო.**

კალამი კი ხელში ნანუკა ჟორჟოლიანის შოუმ ამაღებინა, რომელ შოუშიც ჟურნალისტი მიხეილ სააკაშვილს მასპინძლობდა.

**მტრისას, რაც იქ ნანუკამ მიშა აბჟუტურა თუ თავად „ოთხი დღის მათხუარმა" იბოდიალა!**

ამას ჩემნაირი „სუსტი" გულ-ნერვების პატრონი ვერ გაუძლებდა და თავიდან ბოლომდე არც მიყურებია იმ „ცირკისთვის", რამდენიმეჯერღა „ჩავკარი თვალი".

ჰოდა, ერთ-ერთ „ჩართვაზე" იმ მომენტს შევესწარი, ნანუკა რომ ეკითხებოდა „მათუხარს", — **ბიძინა ივანიშვილი პოლიციას ხომ დაეხმარაო?**

— არაო, — „მათხუარმა".

**— როგორ, ბიძინა ივანიშვილი პოლიციას არ დახმარებიაო?** — „ჩაეკითხა" გაოცებული ჟურნალისტი.

— არა, ყოველ შემთხვევაში, არ მახსოვსო...

**აუჰ, მართლაც რა ჰქვია ახლა ამას — მეხსიერების შესუსტება თუ სრული დაკარგვა?**



თუმცა, რაღა მაინცდამაინც ამ ბერძნულ სიტყვას გადავეკიდე, არა სჯობია, ქართული შესატყვისი გამოვიყენოთ და ასე დავსვათ კითხვა: **ვირეშმაკობაა ეს, სინდის-ნამუსგარეცხილობა თუ, მოკლედ და პირდაპირ რომ ვთქვათ, ნაღდი სააკაშვილობა?**

**ეს თქვენ განსაჯეთ, მკითხველო!**

**რუსლან რუსია**

**დღის ამფრაზურიდან**

# 17 ივლისის ნანუკას შოუს ეხმაურებიან

— ვითომ კი იყო საერთოდ საჭირო სააკაშვილის გამოსამშვიდობებელი ეს შოუ? ალბათ, არა და არა! მაგრამ „რუსთავი-2" ყველაფერს აკეთებს, რომ სააკაშვილს ის მოსწმინდოს, რაც საერთოდ არცა აქვს და არც არცროდის არა ჰქონია — სინდის-ნამუსი...

* * *

— ნამდვილად ვერ გავიგე, სააკაშვილი 9 წელიწადი პრეზიდენტი იყო თუ სამუშაოთა მწარმოებელი, რომელიც უგულავასთან ერთად თურმე ყველა ქვეყანაში იპარავდა ცოტ-ცოტა არქიტექტურას საქართველოს „გასალამაზებლად".

* * *

— გაიგეთ, ხალხო, რა თქვა? 1 ოქტომბერს ხალხმა იმიტომ აღარ აგვირჩია, რომ ქვეყნის სწრაფი განვითარება მობეზრდაო. მეტი გვეკუთვნის, მეტის ღირსნი ვართ, იმიტომ რომ 9 წელიწადი ვით-



მენდით და დღესაც ვითმენთ ქვეყნისა და ხალხის ხარჯზე გაზულუქებულ ამ პოლიტიკურ ავანტიურისტს!...

* * *

— მარტო საქართველოში კი არა, ალბათ, ეგვიპტის ფარაონების შემდეგ არც ერთ მეფეს, იმპერატორსა თუ პრეზიდენტს არ მოუწყვია თავისი პირადი ცხოვრება ისე (თავის სამარცხვინო პარტიასთან ერთად), როგორც ეს სააკაშვილმა შეძლო, რაც უთუოდ ჩვენი, ხალხის, სიბეჩავის ბრალია!...

* * *

— ღმერთო, რამდენი სისულელე ატყაჭუნა! თუნდაც ბათუმის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტზე — ეშმაკის ბორბლის თავზე სასადილო იქნებაო, სტუდენტები იქიდან ბუტერბროდებს ჩამოიტანენ, ბიბლიოთეკიდან წიგნებს გამოაყოლებენ, ჩასხდებიან ბორბალში, თან იტრიალებენ, თან ჭამენ და თან ისწავლიანო... აგანგალა, განგალა!

* * *

— ადეიშვილი არსადაც არ გაქცეულაო, ჯანმრთელობის გამოა წასულიო, მკურნალობსო (ისე აგიდგა გვერდები, სააკაშვილო, როგორც შენ ახლა მართალს ამბობდე!). აი ამაზეა ნათქვამი ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო... კი,ბატონო, ძაღლი თუ არ დახევს, სოციალურად გაცრუებული და პოლიტიკურად გაცურებული ხალხი დახევს. ეს დრო უკვე კარზე გვიკაკუნებს!..

* * *

— ნანუკა ისე კოხტად მართავდა ორთვლიან ველოსიპედს, ალბათ, არც ცალთვლიანის მართვა გაუჭირდება... ამიტომ კარგი იქნება, თუ კიდევ ერთ გამოსამშვიდობებელ სეანსს სააკაშვილთან ერთად ჩვენი ცირკის არენაზეც გამართავს... გასტროლებზე ჩამომსვლელები მაინც არა ჩანან.

* * *

— სააკაშვილი, ეტყობა, ისტორიაში ველოსიპედით აპირებს შესვლას, მაგრამ ისტორიაში შესასვლელი ჯერ ვერ უპოვნია... ისე, რაღაც იმდენ დანაშაულზეა ამ ბოლო დროს ლაპარაკი, ვაითუ ისტორიის შესასვლელის ნაცვლად სულ სხვა შესასვლელს მიადგეს, საიდანაც ეგრე ადვილად ველარ გამოდიან...

**რედაქციისაგან: ნაციონალები თავიანთ პრეზიდენტიანად მართლაც სასაცილო მდგომარეობაში არიან. პრაიმერიზი, ანუ ახალი პრეზიდენტის შერჩევა ბაქრაძესა, ბარამიძესა, ჯაფარიძესა და მალაშხიას შორის, ნამდვილ პოლიტიკურ კომედიად იქცა. პოლიტიკურად თვითონ უკვე ჩამოშლილი სააკაშვილი ამაოდ ედება ღობე-ყორეს ხალხის წინაშე თავლაფდასხმული ნაციონალების უბადრუკი ნარჩენების გადასარჩენად. ვაშაძეს, თაქთაქიშვილსა და ნადირაშვილს უნდათ თუ არა, ყველა გზა მაინც უკვე მართლმსაჯულებისაკენ მიდის, ოღონდ არა ისეთი მართალმსაჯულებისაკენ, როგორიც 9 წლის მანძილზე თვითონ მოფაშისტო ნაციონალებს ჰქონდათ!**

**ალიან-ჩალიანი**

## პატრიარქი რუსეთს ეწვევა

**რუსეთის ნათლისღების 1025 წლისთავთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II რუსეთს ეწვევა, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების ხელმძღვანელმა, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა გერასიმე შარაშენიძემ განუცხადა.**



**მიტროპოლიტის თქმით, რუსეთის ნათლისღების 1025 წლისთავთან დაკავშირებით, საიუბილეო ღონისძიებები მოსკოვში, კიევსა და მინსკში გაიმართება. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II დელეგაციის წევრებთან ერთად 23-30 ივლისს სამივე ქალაქში ჩაბრძანდება.**

**— იქნება საუბარი იმ თემებზე, რომელიც ყოველთვის საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის არის. პირველი ეს არის აფხაზეთის თემა და ქართველი მეფეების ნეშთების გადმოსვენება, — დასძინა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების ხელმძღვანელმა.**

**მეუფის განმარტებით, დელეგაციის წევრები რუსეთის პატრიარქს შეხვდებიან. რუსეთის ხელისუფლების პირველი პირების შეხვედრების შესახებ ინფორმაცია კი ჯერ დაზუსტებული არ არის.**

## ივანიშვილი ლიტვის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

**პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ალგირდას ბუტკევიჩიუსი ქართველ კოლეგას მთავრობის სახლის მთავარ შესასვლელში შეეგება და შეხვედრაზე მიიწვია. მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს.**

**ბიძინა ივანიშვილმა მადლობა გადაუხადა ლიტვის პრემიერ-მინისტრს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისთვის მიმართული უდიდესი ძალისხმევისთვის.**

**მისივე განცხადებით, ლიტვის მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის გათვალისწინებით.**

**გაფართოებულ შეხვედრას საქართველოს დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო.**

**ინფორმაცია**

## გერმანულ „თარგზე მოჭრილი" კანონპროექტი

**პოლიციის შესახებ ახალი კანონპროექტი გერმანულ მოდელზე დაყრდნობით მომზადდა, —ამის შესახებ ჟურნალისტებს თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა.**

სესიაშვილის თქმით, პოლიციის შესახებ დღეს მოქმედი კანონი საბჭოური გადმონაშთია და ის შეცვლას საჭიროებდა.

— დღეს კანონში ძალიან ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული პოლიციის უფლება-მოვალეობები. მთელი რიგი საკითხები იმგვარად არის დარეგულირებული, რომ პოლიციას მეტი ლავირების შესაძლებობას აძლევს. ჩემი ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ახალი კანონპროექტის შემუშავებისას, ძირათადად, გერმანულ მოდელს დაეყრდნო, რაც ძალიან კარგია, რადგან გერმანელებს პოლიციის საქმიანობის წესთან დაკავშირებული საკითხები ზედმიწევნით აქვთ დარეგულირებული, — განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი სესიაშვილმა.

**ინტერპრესი**



**საქართველოს** დემოკრატიულობის ტესტის ერთ-ერთი კომპონენტი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებია, დასავლეთი მასზე ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების ჩატარებამდე საკმაოდ სერიოზულად საუბრობდა. დასავლეთი საქართველოში ამ ერთწლიან პერიოდს – არჩევნებიდან არჩევნებამდე, კომპლექსურად განიხილავს. დემოკრატიული არჩევნების ჩატარება გაცილებით რთული ამოცანა იყო გასულ ოქტომბერს. დღევანდელი საზოგადოებრივი განწყობების გათვალისწინებით, მომავალი გამოცდის წარმატებით ჩაბარებისთვის ყველანაირი პირობა არსებობს და როგორც საზოგადოების წარმომადგენლები თვლიან, მმართველი კოალიცია არ საჭიროებს არც არჩევნების გაყალბებას, არც მოწინააღმდეგეზე ზეწოლას.

სამაგიეროდ, ყოფილი ხელისუფლებისთვის ყველაზე მომგებიანი, შეიძლება ითქვას, მისი მომავალი პოლიტიკური ბედის გადამწყვეტიც კი, შეიძლება აღმოჩნდეს არადემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები. როგორც ჩანს, ხელისუფლებას სერიოზული მუშაობა დასჭირდება იმისათვის, რომ პროვოკაციებს დაუსხლტეს. შეძლებს თუ არა მმართველი ძალა შესაბამისი ზომების მიღებას იმ ფონზე, როდესაც პრემიერ-მინისტრმა ღიად მოუწოდა ყველა უწყებას, არც კი იფიქრონ სახელისუფლებო რესურსების გამოყენებაზე, ძნელი სათქმელია. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე ექსპერტი **ვახტანგ ძაბირაძე** გვესაუბრება.

**— ბატონო ვახტანგ, რამდენიმე დღის წინათ ბიძინა ივანიშვილმა ყველა სახელმწიფო სტრუქტურას მოუწოდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მაქსიმალურად ნეიტრალური პოზიცია დაიკავონ. რეალურად, შესაძლებელია თუ არა, რომ მაქსიმალურად დემოკრატიული წინასაარჩევნო გარემო შეიქმნას?**

— რა თქმა უნდა, ზოგადად შესაძლებელია. მით უმეტეს, ისეთ სიტუაციაში როგორიც საქართველოშია. სახელისუფლებო რესურსი რამდენიმე ნაწილად იყოფა, ერთია, ფინანსური რესურსი, მეორეა — ბიუროკრატიული და მესამე — მედიარესურსი. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ამ ყველაფრის მინიმუმამდე დაყვანა. დღევანდელ უმრავლესობის კანდიდატს, ფინანსური რესურსი, ბუნებრივია, აქვს, მედიარესურსს რაც შეეხება, მისი ცნობადობაც უკვე მაღალია, რადგან თითქმის ერთი წელი მინისტრის თანამდებობა ეკავა და საკმაოდ სკანდალური მინისტრიც იყო. საზოგადოება, მას, ასე თუ ისე, იცნობს და გარკვეული წარმოდგენა უკვე ჩამოყალიბებული აქვს. მთავარია, ივანიშვილმა თქვა, რომ მარგველაშვილი მათი კანდიდატია.

„ქართულ ოცნებას" ყველა რეგიონში თავისი ბიუროები აქვს, ალბათ, ამ შემთხვევაში, შტაბებად გადაკეთდება,ანუ პარტიულ რესურსს მარგველაშვილი გამოიყენებს. ბიუროკრატიულ რესურსს, ალბათ, არ გამოიყენებს, რადგან არც სჭირდება ამ შემთხვევაში.

აქ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ფინანსური რესურსი, როგორღაც ყველასთვის თანაბარი იყოს, თუმცა, არ ვიცი, ამას როგორ მოახერხებენ. რაც შეეხება მედიას, აგიტაციის თანაბარი საშუალება უნდა მიეცეს ყველა კანდიდატს.

კიდევ ერთი მომენტი — ზოგიერთ რაიონში კი მოხდა ხელისუფლების გადასვლა „ქართული ოცნების" ხელში, მაგრამ ეს მთელი ქვეყნის მასშტაბით არ მომხდარა. ეს ვერტიკალი ჯერჯერობით, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" აღარ არის, არც მთლიანად ხელისუფლების ხელშია, ანუ, სახელისუფლებო ვერტიკალს, რომელსაც ადრე, მთლიანად, სახელისუფლებო კანდიდატი იყენებდა, დღევანდელ სიტუაციაში, სურვილის შემთხვევაშიც კი, სრულად ვერ გამოიყენებს.

კიდევ ერთი დეტალი — ძალოვანი სტრუქტურების ჩარევა. ისინი არჩევნებში ღიად არ ჩაერთვებიან და, რაც მთავარია, „ქართული ოცნების" კანდიდატს დღეს არ სჭირდება ამ ძალების მაქსიმალური მობილიზება. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ისეთი ვითარებაა, რომ ის ისედაც გაიმარჯვებს. ვფიქრობ, იქნებ როგორმე მეორე ტურამდე მივიდეს საქმე, რადგან ეს ქვეყნისთვის ძალზე კარგი იქნებოდა.

რეალურად კი ვერ ვხედავ კანდიდატს, რომელიც მარგველაშვილს სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ მეტ-ნაკლებად თანაბარი პირობების შექმნა შეიძლება.

**— რეალურად თანაბარი და კონკურენტული გარემოს შესახებ იმიტომ გკითხეთ, რომ დასავლეთი მას ქართული დემოკრატიის გამოცდის მეორე ნაწილად მიიჩნევს, რომელიც ვილნიუსის სამიტზე, ასევე, ალბათ, ნატოს შემდგომ სამიტებზე შესაბამისად აისახება. მას შემდეგ, რაც ყოფილ ხელისუფლებას სწორედ არადემოკრატიულობის გამო უთხრა უარი ამომრჩეველმა, დასავლეთის მხრიდან ასეთი ეჭვები რამდენად საფუძვლიანია? — გვახსოვს, მას ბევრ არადემოკრატიულ არჩევნებზე დაუხუჭავს თვალი...**

— დასავლეთიდან ასეთი მოწოდებები, ალბათ, მაინც საჭიროა, რადგან იქ ცალსახად ჩამოყალიბებული არ აქვთ წარმოდგენა პროცესებზე, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს. მაინც ფრთხილად ეკიდებიან მიმდინარე პროცესებს და იმაზე აკეთებენ აქცენტებს, რა შემთხვევაში განვითარდება ქვეყანა დემოკრატიულად.

ვფიქრობ, სახიფათო ეს არჩევნები კი არა, შემდეგი ადგილობრივი არჩევნებია. ამ არჩევნების მიხედვით გაცილებით მნიშვნელოვნად გამოიკვეთება, რამდენად დემოკრატიულად განვითარდება შემდგომში ქვეყანა, ვიდრე ახლანდელი საპრეზიდენტო არჩევნებისას.

ვიმეორებ, ამ შემთხვევაში „ქართულ ოცნებას" არ სჭირდება არანაირი ძალდატანება იმისათვის, რომ ეს არჩევნები მოიგოს და თუ ვინმე ზედმეტ ინიციატივას გამოიჩენს საშუალო, ან ქვედა რგოლებში, ის წინასწარვე უნდა გააფრთხილონ, რომ ასეთ შემთხვევაში, „ქართული ოცნების" მხარდამჭერ კი არა, საწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენენ — ვგულისხმობ, თუ ვინმე შეეცდება, რამე გააყალბოს — გაყალბება „ქართული ოცნების" ინტერესებში დღეს, უბრალოდ, არანაირად არ შედის.

**— სამაგიეროდ, ბევრი ფიქრობს, რომ ეს შედის „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესებში და მათ დიდი გამოცდილებაც აქვთ დაგროვილი... გარდა ამისა, „ნაციონალური მოძრაობის" ინტერესშია, დასავლეთის თვალში ამ არჩევნებს არადემოკრატიულობის იმიჯი შეუქმნან - რუსუდან კერვალიშვილმაც კი განაცხადა, რომ მისი დადანაშაულება წინასაარჩევნოდ მოხდა... ასეთი თემა, სავარაუდოდ, მომავალშიც ექნებათ ნაციონალებს. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია აქ როგორღაც სიფრთხილის გამოჩენა?**

— არა მარტო „ნაციონალური მოძრაობა", არამედ დანარჩენი ოპოზიციური პარტიებიც შეეცდებიან, რომ თავიანთი დამარცხება გადააბრალონ არადემოკრატიულობას და ა.შ.

# „სახიფათო საპრეზიდენტო კი არა, შემდეგი, ადგილობრივი არჩევნებია"



„ქართულ ოცნებას" შარშან, ოქტომბერში უკვე უნდა სცოდნოდა, რომ ერთი წლის შემდეგ, ასეთი მცდელობები იქნებოდა და წინასწარ გარკვეული ზომები უნდა მიეღო.

ყველაზე მარტივი რაც იყო, ისიც კი გაუთვალისწინებელი დარჩა და ამომრჩეველთა სიებიც კი ძველი დატოვეს. თუ „ქართული ოცნება" მოწინააღმდეგეებს საშუალებას მისცემს, რომ მათ რაღაც პიარი ააგორონ, ეს პოლიტიკაა და, რა თქმა უნდა, ისინი ამ პიარს ააგორებენ.

გახსოვთ, ალბათ, რამდენიმე დღის წინათ ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, სადაც სამართალდამცველებს მოუწოდა, ამ პერიოდის განმავლობაში, თუ ძალიან აუცილებელი და ძალზე მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი დანაშაული, შევეცადოთ, რომ არ მოვახდინოთ პოლიტიკურ ფიგურებზე, მათ მხარდამჭერებზე ან საარჩევნო კამპანიაში ჩართულ ადამიანებზე სამართლებრივი ზომების განხორციელებაო. მეორე დღეს გამოდის კბილაშვილის უწყების გადაწყვეტილება კერვალიშვილისა და რჩეულიშვილის პასუხისმგებლობის შესახებ.

კითხვას ვსვამ, შეიძლება ასეთი რაღაცის გაკეთება? — სამართლიანობა რომ უნდა იყოს ქვეყანაში, ამაზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ არსებობს მიზანშეწონილობა, როდის გაკეთდეს ეს. ეს უკვე პოლიტიკური საკითხია და არ არის სასამართლოში ჩარევის მცდელობა. როდესაც პრემიერი ამ თემაზე ლაპარაკობს და იცი, რა პოლიტიკური ვითარებაა ქვეყანაში, ძიება არ უნდა შეწყვიტო, მაგრამ უნდა შეეცადო, უფრო მეტი მოიკვლიო და პასუხისმგებლობის საკითხი დააყენო ისე, რომ არავის არ ათქმევინო, ჩემზე პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდებაო.

ერთი შეხედვით ძალზე მარტივია, მაგრამ ამ ქვეყანაში ასეთი მარტივი რაღაცები ან არ გვესმის, ან იგნორირებას ვუკეთებთ.

**— ასეთ ფონზე საინტერესოა, რატომ დანიშნა სააკაშვილმა არჩევნები ოქტომბრის ბოლოს - ვილნიუსის სამიტზე რომ უნდა მოხვედრა, ეს თვითონაც განაცხადა, მაგრამ ეს ყველაფერი მასა და მის გუნდს რა პოლიტიკურ სარგებელს მოუტანს?**

— დიახ, ფულესთან შეხვედრისას მან თქვა, რომ სურვილი აქვს ვილნიუსის სამიტს პრეზიდენტის რანგში დაესწროს. ლაპარაკია ნოემბერზე — ეს ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს მეორე ტური, სხვაგვარად ეს ვერ მოხერხდება, თუმცა, თავის მხრივ, მეორე ტურამდე მისვლაც საეჭვოა. თუმცა, როგორც ვხედავ, მას შეუძლია ვილნიუსის სამიტზე მართლაც აღმოჩნდეს, პრეზიდენტის თუ არა, მიწვეული სტუმრის რანგში მაინც.

რატომღაც ერთხმად ჩავთვალეთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სააკაშვილისგან საბოლოოდ გავთავისუფლდებით. ვფიქრობ, ძალიან მცდარი წარმოდგენაა. როგორც პრეზიდენტს, ახლაც არ აქვს მაინც და მაინც დიდი უფლებამოსილებები, ის ვირტუალურ სივრცეშია მხოლოდ პრეზიდენტი და ვირტუალური სივრცე მას ხომ არჩევნების შემდეგაც ექნება, იმისათვის, რომ ყოველდღე თუ არა, ორ დღეში ერთხელ მაინც გამოგვეცხადოს და ისევ ჭკუა დაგვარიგოს.

**— ვილნიუსის სამიტისგან რას შეიძლება ელოდებოდეს, თუ ხელისუფლების წინააღმდეგ კომპრომატებს დაახვავებს, სანაცვლოდ რას მიიღებს?**

— გააჩნია, რა განწყობა ექნება, ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილი შეეცდება, ის შედეგი, რაც ვილნიუსის სამიტზე დადგება, სასარგებლოდ გამოიყენოს — თუ საქართველოს ექნება წარმატება, ეს საკუთარ თავზე მიიწეროს, მაგრამ თუ ცუდი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ყველაფერს ამ ხელისუფლებას გადააბრალებს. ორივე შემთხვევაში სააკაშვილი შეეცდება, პოლიტიკური ქულები დაიწეროს.

**— როგორც ჩანს, სააკაშვილს ყველაზე მეტად აწყობს მეორე ტური...**

— რამდენიმე ხნის წინათ უფრო მარტივად ვუყურებდი ამ საპრეზიდენტო არჩევნებს, მაგრამ ბოლო დროს უკვე მგონია, რომ ეს იქნება საკმაოდ რთული არჩევნები, რადგან სააკაშვილის და მთელი „ნაციონალური მოძრაობის" გათვლაა, როგორმე დაფიქსირდეს ქვეყანაში ალტერნატიულ პოლიტიკურ ძალად. მათ თუ ეს მოახერხეს, არა მხოლოდ პოლიტიკაში დარჩენის საშუალება, არამედ გარკვეული გარანტიებიც ეძლევათ სამართალდამცველ ორგანოებთან მიმართებაში. თუ მათ ეს ვერ მოახერხეს, მაშინ მთელი „ნაცმოძრაობა" ქართული პოლიტიკის გუშინწინდელი დღე ხდება. ამიტომ, საკმაოდ რთული მდგომარეობა იქნება და ამაზე ხელისუფლებამ წინასწარ უნდა იფიქროს. არ ვგულისხმობ იმას, რომ არჩევნები უნდა გააყალბოს, მაგრამ ყურადღებით უნდა იყოს.

არ მგონია, სუფთა არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ" მეორე ადგილი აიღოს, მაგრამ თუ ყველაფერს მივუშვებთ, მაშინ ასე მარტივად არ იქნება ყველაფერი. „ნაციონალურმა მოძრაობამ" არჩევნების გაყალბებაც ძალიან კარგად იცის და კომისიებიც ისე არ არის, როგორც ჩვენ გვგონია. ნაციონალებს აქვთ სტრუქტურა, ფული და ა.შ. რა თქმა უნდა, საარჩევნო ბრძოლის გამოცდილებაც. ამიტომ, ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს და ნამდვილად ფართოდ გააღოს საარჩევნო კარი, რათა ყველამ ნახოს რა ხდება. მეორე მხრივ, უნდა მოახერხოს, რომ თუ პროვოცირება იქნება, მისი იზოლირება მოახერხოს.

**— თუ ხედავთ რომელიმე პოლიტიკურ ძალას, რეალურად მეორე ტურში მოხვედრა რომ შეძლოს?**

— ამას ვწუხვარ, რომ ძნელია, რეალურად მეორე ტურამდე მისვლა. ძალიან მინდა, რომ ეს არ იყოს „ნაციონალური მოძრაობა", ოღონდ სრული სამართლიანობის და კანონიერების პირობებში. მიუხედავად იმისა, ვისთვის მისაღებია და ვისთვის მიუღებელი, უნდა ვიცოდეთ, რეალურად, რა ძალთა ბალანსი გვაქვს, რა განწყობებია ქვეყანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გავაკეთებთ პროგნოზებს, მომავალში როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები — თუ საზოგადოებაში არის განწყობა, რომ ნაციონალებს მეორე ადგილზე შეუძლიათ გასვლა, ვერაფერს ვიზამთ და ასეც იქნება, მაგრამ მგონია, რომ ასე არ მოხდება.

**ლალი ზირაქიშვილი**

◉ ალიან-ჩალიანი

## ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიებაში პროგრესია

**ამის** შესახებ საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი „ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში აცხადებს. მისი განმარტებით, ამ საქმის გახსნა ერთ-ერთი პრიორიტეტია და გამოძიება სრული სვლით მიმდინარეობს. თუმცა, როგორც კბილაშვილი აღნიშნავს, მომხდარიდან 8 წლის შემდეგ, როდესაც საქმეში ზოგიერთი დოკუმენტი არ არის ან შედგენილია არაჯეროვნად, გამოძიებას დასახული ამოცანის შესრულებას ურთულებს.

— გამომძიებელი ძალიან კვალიფიციურად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და იმ დროის განსაზღვრის გარეშე, როდის იქნება ეს, შემიძლია განვაცხადო, ეს საქმე აუცილებლად გაიხსნება და საზოგადოება მიიღებს ამომწურავ პასუხს, რა მოხდა 2005 წლის 3 თებერვალს და რასთან გვაქვს საქმე — უბედურ შემთხვევასთან თუ სხვა რამესთან და თუ საქმე გვაქვს სხვა რამესთან, ვინ არიან ისინი, ვინც პასუხისმგებლობას იმსახურებენ. ის კითხვები, რაც აწუხებს ყველას, გვაწუხებს ჩვენც და ეტაპობრივად მივდივართ ამ ამოცანის ამოსახსნელად, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

**ინტერპრესი**

## ◎ ექსპერტი

# „საქართველო და უკრაინა სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ“



ინტერვიუ კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის ექსპერტთან საქართველოს საკითხებში **ლინკოლნ მიტჩელთან.**




**— პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველო უფრო თავისუფალი გახადა, მაშინ, როცა 2010 წელს ვიქტორ იანუკოვიჩის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უკრაინა ნაკლებად თავისუფალ სახელმწიფოდ იქცა.**

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის „ოქროს ბიჭუნები“ დამარცხდნენ არჩევნებში როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში და ყოფილი მაღალჩინოსნებიც პასუხისგებაში მიეცნენ, ის, რაც ამ ორ ქვეყანაში მოხდა, ერთმანეთისგან მაინც განსხვავდება — აცხადებს ლინკოლნ მიტჩელი.

— ყოფილი მთავრობის ჩინოვნიკების დაპატიმრებებმა და სასამართლო გარჩევებმა მათ წინააღმდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ ყველაზე მაღალი რანგის ჩინოვნიკი, რომელიც დაპატიმრებულია, გახლავთ ვანო მერაბიშვილი — ყოფილი პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი, გამოიწვია ძალიან ბევრი ნეგატიური რეაქცია დასავლეთის, მედიისა და პოლიტიკოსების მხრიდანაც. როგორ ფიქრობთ, როგორი დამოკიდებულება აქვს აშშ-ის პოლიტიკას ამ დაპატიმრებების მიმართ, განსაკუთრებით ვანო მერაბიშვილის შემთხვევაში? შეიძლება თუ არა ამან იქონიოს გავლენა ორმხრივ ურთიერთობებზე?

**— გაითვალისწინეთ ის, რომ კომენტარებს აკეთებენ ძირითადად კონსერვატორი რესპუბლიკელები, რომლებიც ამჟამად ხელისუფლებაში არ არიან და რომლებიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ძირითადი მხარდამჭერები იყვნენ აშშ-სა და ევროპაში.**

აშშ-ის შეხედულებები ამ შემთხვევაში სხვადასხვაგვარია. პირველი, მათ არ მოსწონთ ის, რომ პარტია იმარჯვებს არჩევნებში და შემდეგ აპატიმრებს თავის პოლიტიკურ ოპონენტებს; თუმცა, აშშ-ის მთავრობას არ მიაჩნია, რომ სწორედ ეს ხდება ამჟამად საქართველოში.

ამჟამად არიან ზოგიერთი პოლიტიკოსები და სენატორები, რომლებიც ამგვარად ფიქრობენ. ძნელია ჩვეულებრივი ამერიკელისთვის, რომ არაფერი ვთქვათ ჩვეულებრივ უცხოელზე, იმის გაგება, თუ რაოდენ ცოტას ფიქრობენ კონგრესის წევრები ან რაოდენ მცირე ყურადღებას აქცევენ ისინი უცხოეთის პოლიტიკას. მაგრამ თუ დაუკვირდებით იმას, თუ რა განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტმა ან ამერიკის საელჩომ, ვიხილავთ, რომ მათ გააკეთეს აწონილ-დაწონილი განცხადებები და მიუთითეს, „ჩვენ გვსურს სამართლიანი სასამართლო პროცესი“ — ეს არის აშშ-ის პოზიცია და ის სწორედ ასეთი უნდა იყოს.

დაუშვებელია პოლიტიკური ოპონენტების ქაოტურად დაპატიმრება, მაგრამ ჩვენ ვაღიარებთ, რომ ამ შემთხვევაში არსებობს საქმე და სამართლიანი სასამართლო პროცესი, წარმართეთ საქმე და ჩვენ არ ჩავერევით — ეს არის აშშ-ის მთავრობის პოზიცია. ეს არ იქონიებს გავლენას ორმხრივ ურთიერთობებზე. საქმე ასე რთულად არ არის. საქართველო მოკავშირეა, ის მხარს გვიჭერს ავღანეთში, ის პროამერიკულია და ახალმა მთავრობამაც გააგრძელა ეს მიმართულება. ჩვენ არ ვაპირებთ ორმხრივი ურთიერთობების გაწყვეტას ამის გამო. არავისგან ისმის სერიოზული მუქარა ამ კუთხით, და თუ ვინმე სერიოზულად იმუქრება, ეს სარწმუნო არ არის.

**— ზოგიერთი საუბრობს ე.წ. „უკრაინული სცენარის“ განვითარებაზე, რომელიც განვითარდა ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და ოპოზიციის ლიდერის იულია ტიმოშენკოს დაკავების შემდეგ. ხდება თუ არა იგივე მერაბიშვილის შემთხვევაში?**

— საქართველო უფრო თავისუფალია ამჟამად, ვიდრე ის იყო ერთი წლის წინათ, ხოლო ხელისუფლებაში იანუკოვიჩის მოსვლიდან რამდენიმე თვეში უკრაინა ნაკლებად თავისუფალ ქვეყნად იქცა და ის, რომ საქართველო უფრო თავისუფალია, ვიდრე ადრე, მხოლოდ ჩემი სიტყვები არ არის, ეს საერთო აზრია.

**— უფრო თავისუფალია, ვიდრე უკრაინა თუ უფრო თავისუფალია, ვიდრე ის იყო ერთი წლის წინათ?**

— ორივე. საქართველო უფრო თავისუფალია ამჟამად, ვიდრე ის იყო ერთი, ორი თუ სამი წლის წინათ, რაც არ მოხდა უკრაინაში ხელისუფლებაში იანუკოვიჩის მოსვლის შემდეგ.

იანუკოვიჩმა უკრაინა ნაკლებად თავისუფალ ქვეყნად აქცია, რასაც ვერ ვიტყვით ივანიშვილზე. რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული პარალელები. ორივე მათგანმა დაამარცხა დასავლეთის ფავორიტი ე.წ. დასავლეთის „ოქროს ბიჭუნები“. ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დაპატიმრებულია. მაგრამ, დაუკვირდით, იტალიის პრემიერ მინისტრი დააპატიმრეს ახლახან, ისრაელის პრემიერ-მინისტრიც ახლახან დააპატიმრეს. მაღალჩინოსნის დაპატიმრება არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ავტორიტარულია და ამ არგუმენტის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. მე მესმის იმ ადამიანებისაც, რომლებიც ყოველივეს არცთუ ისე დიდ ყურადღებას აქცევენ დასავლეთში, ეს ძალიან მარტივია — შეხედეთ, საქართველო და უკრაინა, ორივე შორსაა, ორივე საბჭოთა კავშირის წევრები იყვნენ, პიროვნებები, რომლებიც მოგვწონდა, ორივე ქვეყანაში დამარცხდნენ, ყველაფერი ერთნაირადაა. მაგრამ მე არ მიმაჩნია, სერიოზული ადამიანები ფიქრობდნენ ასე.

**— თბილისში, ჰაინრიხ ბიოლის ფონდის ოფისში გამართულ მრგვალ მაგიდაზე თქვენ განაცხადეთ, რომ აშშ უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებდა თავის შიდა პრობლემებზე პოლიტიკური და ფინანსური მიზეზების გამო. ექნება თუ არა ამას გავლენა მის პოლიტიკაზე კავკასიის მიმართ?**

— აშშ-ში არსებული საერთო ტენდენციაა, რომ ის ალბათ, ღრმად არ ჩაერთვება საერთაშორისო საკითხებში, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ჩვენ უნდა ჩავერთოთ თქვენს მიერ მითითებული მიზეზების გამო.

**— ბიძინა ივანიშვილს პრობლემა აქვს ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით აშშ-ში, რომ აღარაფერი ვთქვათ პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან შეხვედრაზე?**

— არ ვიცი, ივანიშვილს ეს თავად უნდა ჰკითხოთ. არ გამიგია, რომ მათ რამე მცდელობა ჰქონოდათ. არ გამიგია, რომ მათ დროის დანიშვნა სცადეს. ჩემი აზრით, რომ ჩამოსულიყო, ყველა შეხვედრა შედგებოდა. არ ვიცი, იქ რა ხდება. მისთვის ამის შესახებ არ მიკითხავს.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ აშშ-ის ზოგიერთი პოლიტიკოსი ხელისუფლების ცვლილებას დემოკრატიულ ნაბიჯად მიიჩნევს, რადგან ნახევრად ავტორიტარმა ლიდერმა აღიარა საკუთარი მარცხი, მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოსი ამას მაინც „გადატრიალებად“ აღიქვამს. ამჟამად, რომელ ტენდენციას აქვს უპირატესობა?**

— დარწმუნებული არ ვარ, ვგულისხმობ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის, ობამას ადმინისტრაციის ოფიციალური პოზიცია, უფრო მეტად პირველს ემხრობა. უფრო მეტად, დამოკიდებულება ასეთია: „შეხედეთ, ეს არის დემოკრატია, რომელიც წინ მიიწევს და ყველაფერი კარგადაა.“ რა თქმა უნდა, კვლავ არიან ადამიანები, განსაკუთრებით, სენატისა და კონგრესის წევრები, გარკვეული ადამიანები ამერიკის პოლიტიკის მემარჯვენე ფრთაში, რომლებიც ამას გადატრიალებად აღიქვამენ, მაგრამ ადმინისტრაციისთვის ეს ნამდვილად პირველი ვარიანტია. ჩემი აზრით კი, მე ვიტყოდი, რომ არც ერთ მოსაზრებას არ ვეთანხმები. ვფიქრობ, ორივე მოსაზრება მცდარია.

**— სააკაშვილის მმართველობის მოდელი „ნახევრად ავტორიტარულად“ დაახასიათეთ. როგორ დაახასიათებდით ამჟამინდელ ხელისუფლებას, თუ ჯერ მისი განსჯა ძალიან ადრეა?**

— ჩემი აზრით, როგორც ჯოუ ენლაიმ განაცხადა საფრანგეთის რევოლუციის შესახებ, ჯერ რამის სათქმელად მეტისმეტად ადრეა. ამჟამად, მე ვფიქრობ, საქართველო ნახევრად დემოკრატიული ქვეყანაა და გარდამავალი პერიოდი, რომელიც გასულ წელს ვიხილეთ, უკანასკნელი თორმეტი თვის განმავლობაში, წარმოადგენს გადასვლას ნახევრად ავტორიტარულიდან ნახევრად დემოკრატიულში. ეს არ იძლევა არაფრის გარანტიას მომავლისთვის, მაგრამ ეს არის ის, რასაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში ვხედავთ.

**— ბოლო შეკითხვა, საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით. გასულ წელს, უზარმაზარი ინტერესი იყო, ასე ვთქვათ, მთელი მსოფლიოს მხრიდან, აქ გამართული საპარლამენტო არჩევნების მიმართ. არის თუ არა იმავე დონის ინტერესის რაიმე ნიშანი, საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ, მაგალითად, აშშ-ის მხრიდან?**

— არა, არ მგონია. პირველ რიგში, არავინ მოელის, რომ ეს არჩევნები ძალიან კონკურენტული იქნება; თუმცა, ყველა ძალიან ცდილობდა, დიდი ყურადღება მიექცია გასული წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ამჟამად, ეს არჩევნები ხალხის ასეთი ყურადღების საგანი აღარ იქნება. ახლა ეს შეიძლება, შეიცვალოს. ახლა ივლისია და არჩევნები ოქტომბრამდე არ იქნება, მაგრამ ეს წინა არჩევნების მიმართ ინტერესის დონეს არ უთანაბრდება. მასთან ახლოსაც ვერ მოვა.

შეგრძნება ისეთია, თითქოს გარდამავალმა პერიოდმა წარმატებით ჩაიარა და ყველას სურს, რომ არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყოს, მაგრამ შედეგი საეჭვო არ არის. ეს დეტალური შესწავლის დონეს არ მიაღწევს. იმედი მაქვს, აშშ, ეუთო და სხვადასხვა ევროპული და ამერიკული ორგანიზაციები დააკვირდებიან არჩევნებს, იმედი მაქვს, ისინი უზრუნველყოფენ რესურსებს საქართველოს შიდა ჯგუფებისთვის, არჩევნებზე დასაკვირვებლად და იმედი მაქვს, რომ ახალი მთავრობა მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს.

მოქმედმა მთავრობამ ეს არჩევნები რაც შეიძლება თავისუფლად და სამართლიანად უნდა ჩაატაროს და გაცილებით უკეთესად, ვიდრე წინა წლის არჩევნები. ქართველ ხალხს სწორედ ეს სურს, ამას იმსახურებს და ეს დაეხმარება საქართველოს წინსვლაში. ასე რომ, ნამდვილად ვიმედოვნებ, ყველა, ვინც ამაში ჩართულია, არ მოახდენს ამ არჩევნების უგულებელყოფას. თუმცა, ამჟამად, არ მოხდება მისი ისე ყურადღებით შესწავლა, როგორც ეს შარშან მოხდა.

**„პირველი“**

## ◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● ისადა, ერო რად გვინდა ეკონომიკის სამინისტრო? ეკონომიკა სულს ღაფავს და ნიჟე პლინტუსაა. თანაც არრეანიმირებადია.**

**● უგულავას დიეტა ვანოს დიეტამდე მიგიყვანსო! (ძველი ვანუატურული ანდაზა).**

**● ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ამბობს, რომ გაეროში მუშაობს, მაგრამ სულ საქართველოში ზის და კანდიდატობასაც აპირებს, და ამხელა შვებულებას გაეროში აძლევენ ვინმეს? გამარკვიეთ რა!**

**● ბიძინას განცხადება წავიკითხე.**

**დიპლომატიური ენიდან ქუჩურზე რომ გადმოვიყვანოთ — თქვე ჩემისებო, ვინმეს კითხეთ რომ ჩამოხვედით და შეხვედრებს ითხოვთო?**

**ვინ ჩემი კუტუნიები ხართ, რომ თქვენს გამო ჩვენი გეგმები შევცვალოთო...**

**ასიანში გეთანხმები, ბრატ — და უკან რომ გადავთარგმნოთ დიპლომატიურზე, სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ პრემიერ-მინისტრის მიდგომას.**

**● მოკლედ რომ ვთქვა.. მე აღარ მაქვს უკვე იმის ლიმიტი (ასაკიდან გამომდინარე), რომ ჩემს შვილს ასეთი მინგრეულ—მიფარჩაკებული ქვეყანა დავუტოვო... თქვენ რას იტყვით, პატივცემულებო, ერთი კიდევ არ შემოვუძახოთ ჩვენს თავებს?**

**● პაბლო, ცხენი, წყლის დაწყვეტა, ლონდონში ვსწავლობდი, მუზეუმი, სმარტფონი — ქართული აჯაფსანდალი.**

**● ოეეეეეეე, ოცნებაააააა!!!!!!!!!**

**მორჩა ახლა მიდებ-მოდება!**

**ბრუნვა, შემოსავალი, გამართული ბიზნესი და ბორაბორაზე გასაფრენი ბილეთები ნაციონალებს და მათთან შეკრულ — დალაგებულ ბიზნესებს ქონდათ და დღესაც „პორშეებით“ დაგიდიან პარლამენტში.**

**ან გამონახეთ ბანკებზე სწორი ზემოქმედების მექანიზმი, ან თქვენს ფონდებში რეალური საკრედიტო პოლიტიკა შეიმუშავეთ, ან თქვით, რომ 300-მდე კაცისთვის გამოგვყარეთ და გვაწანწალეთ ქუჩაში დანარჩენი საქართველო.**

**ნუ დააკონსერვეთ უნარიანი ხალხი!**

**● ასეთი სამარცხვინო დამოკიდებულება, როგორიც ევროპარლამენტის დელეგაციამ გამოამჟღავნა, ძნელი წარმოსადგენია. ამისთანა უღირს ადამიანებს ქვეყანაში არ შემოუშვებდნენ ჩვენი მეფეები და მათი დარბაზებიც კი, გინდაც 1000 წლის წინათ და გინდაც 1500 წლის წინათ!!! მიხარია, რომ პრემიერ-მინისტრი მათ არ შეხვდა და უსარგებლოდ დრო არ დაკარგა!**

**● წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან! ნახეთ, უგულავას დიეტა ისევ დაიბრუნებს პირველობას! ჯერ შევიდეს გიგი!**

**● მიშას შოუ — ნანუკა ჟორჟოლიანთან ერთად.**




**● მთელი ფეისბუქი ნანუკას შოუს უყურებს და მერე კითხულობენ,რატომ არსებობს ესა თუ ის გადაცემა :) აი,ამიტომ-რომ ყველა უყურებს :)**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

# საქართველო-ირანის სავიზო დავიდარაბა „სტრატეგიული პარტნიორის“ ჭრილში

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ვიზიტის დროს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ახალგაზრდებთან შეხვედრისას მთავარი ყურადღება გაამახვილა ამერიკის დღევანდელ პოლიტიკაზე. მსოფლიო მედიამ სხვაგვარად აღიქვა პრეზიდენტის ლაპარაკი - თავის მართლებად, სინამდვილედ.**

ამერიკის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა, რომ გაურკვეველ ზიგზაგებშია, ცნობილი ფაქტია. მარტო ის რად ღირს, როდესაც ავღანეთის პრეზიდენტის კარზაის ზურგს უკან, შეხვედრაზე უთანხმდება თალიბანს, ხოლო — კარზაის გაღიზიანებული განცხადების შემდეგ, უარს ამბობს ყატარში დაგეგმილ მოლაპარაკებაზე. ან ავიღოთ მეორე მაგალითი — აშშ-ს სპეცსამსახურების მიერ მთელი მსოფლიოს პოლიტიკოსთა და არა მარტო მათი, მოსმენა. ეს ინფორმაცია ბრიტანულ „გარდიანს“ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა თანამშრომელმა სნოუდენმა მიაწოდა. მიაწოდა და დაიწყო სნოუდენის დევნა.

აშშ-ს უმაღლესი თანამდებობის პირები, ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენით დაწყებული, სახელმწიფო მდივნით, კერით დამთავრებული, მუქარას არ იშურებენ რუსეთის, ჩინეთის, ჰონკონგის, კარიბის ზღვის ქვეყნების სახელმწიფოების მიმართ - თუ არ გადმოგვცემთ სნოუდენს, ამას ვიზამთ და იმას ვიზამთო.

და როდესაც მუქარა სალ კლდეს აწყდება, ვაშინგტონი არბილებს ტერმინოლოგიას. ასე იყო მაშინ, როდესაც ჯო ბაიდენმა დაურეკა ეკვადორის პრეზიდენტს რაფაელ კორეას. მან თბილად მოიკითხა პრეზიდენტი და დასასრულს ურჩია პოლიტიკური თავშესაფარი არ მიეცა სნოუდენისთვის. ეკვადორის პრეზიდენტმა, მოკლე ინტერვიუში აღნიშნა, რომ პატივს სცემს აშშ-ს, თუმცა, მას თავისი პოზიცია აქვს.

დაახლოებით მსგავსი პასუხი მიიღო პრეზიდენტმა ობამამ სულ ახლახან, სენეგალში ვიზიტის დროს, როდესაც მან მასპინძლებს მოუწოდა მეტი ლიბერალობისკენ პედერასტთა მიმართ. სენეგალის პრეზიდენტმა უპასუხა, რომ სენეგალი მსგავსი ლიბერალიზმისთვის მზად არ არის.

ამერიკა, მსოფლიოს პირველი ქვეყანაა როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით, მაგრამ მისი ერთპიროვნული ლიდერობა ეჭვქვეშ დგება. ჰეგემონი გრძნობს კეფაში ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის, სხვა ქვეყნების სუნთქვას. ეს ის ქვეყნებია, რომლებიც ცდილობენ ერთმმართველობის მრავალპოლუსიანობით შეცვლას. ამ და სხვა ქვეყნებს, აშშ არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური პრობლემების შექმნით ემუქრება, თუმცა, „ჯიუტი“ ქვეყნებიც უკან არ იხევენ. მათ კარგა ხანია საქმით დაამტკიცეს, რომ ამერიკა მათთან ვერაფერს გახდება.

რაც უფრო გადის დრო, მით უფრო იზრდება „ჯიუტთა“ რაოდენობა: კუბა, ვენესუელა, ნიკარაგუა, ბოლივია, ეკვადორი, ირანი, სირია და ა.შ. საგონებელში ჩავარდნილი ვაშინგტონი, მათ წინააღმდეგ სხვადასხვა სახის ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებს, რომელთა უმთავრესი მიზანი ამ ქვეყნების მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური ყოფის გაუარესება და მოსახლეობის ქუჩაში გამოყვანაა ხელისუფლების დასამხობად. იქ, სადაც ამას ვერ აღწევს, აშშ სხვა გზებს მიმართავს — შიდა შეიარაღებული კონფლიქტების გაღვივებას. ლიბია და სირია ამის დამადასტურებელია.

ვაშინგტონი მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობს, მათ შორის „თალიბანთან“ და „ალ-კაიდასთან“ ფარულ მოლაპარაკებას. „ალ-კაიდას“ „ბოევიკების“ სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში ჩართვას, ე.წ. მეამბოხეთათვის იარაღის მიწოდებას, დაფინანსებას, წვრთნას. და ეს ყველაფერი „დემოკრატიისა“ და „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საბაბით ხდება.

ამერიკელთა გარდა, ვერც ვერავინ დაამტკიცებს, რომ „ადამიანის უფლებათა დასაცავად“ საჭიროა „ალ-კაიდას“ გამოყენება, რომ საყოველთაო ფარული მოსმენა დემოკრატიის დაცვისთვის ხორციელდება, ისე, როგორც კუბის წინააღმდეგ 50 წლის განმავლობაში შემოღებული ეკონომიკური სანქციები.

მხოლოდ თეთრ სახლს შეუძლია იმის მტკიცება, რომ ირანის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციები, რიგითი ირანელის უფლებათა დაცვას ემსახურება.

აშშ ის ქვეყანაა, რომელსაც სუპერთანამედროვე ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღება აქვს, მაგრამ არ აქვს დიპლომატია. ვაშინგტონი თვლის, რომ მას დიპლომატია არ სჭირდება, ვინაიდან მისი სიძლიერე წყვეტს დიპლომატიურ საკითხებს — ძალისმიერად. ძვირი უჯდება მსოფლიოს ასეთი ჰეგემონის „კაპრიზები“. განსაკუთრებით ძვირია ამერიკელთა გაუმართლებელი ჭირვეულობა მათ მიერ ამორჩეული ქვეყნებისთვის. ირანს ამ ქვეყნებს შორის „განსაკუთრებული“ ადგილი უკავია.

34 წელიწადია აშშ-ი ებრძვის ირანს. რა ხერხს არ იყენებს ამ ქვეყნის ხელისუფლების დასამხობად, მაგრამ ამაოდ. ირანი აგრძელებს დამოუკიდებელ კურსს. მას არ ეშინია არც გაათმაგებული სანქციების და არც პირდაპირი საჰაერო თავდასხმის მუქარის, რაც ხშირია როგორც ვაშინგტონიდან, ისე მისი ახლო აღმოსავლელი მოკავშირე — ისრაელიდან.

ირანის პოზიცია გამოკვეთილია — 20% ურანის გამდიდრება, სირიის კანონიერი პრეზიდენტის ბაშარ ასადისადმი და პალესტინელი ხალხის სამართლიანი მოთხოვნებისადმი მხარდაჭერა, ისრაელის ამბიციური გეგმების წინააღმდეგ გალაშქრება, რუსეთთან და ჩინეთთან კონსტრუქციული კავშირების ჩამოყალიბება და სხვა.

ახლო აღმოსავლეთში ირანის როლის ზრდა აშფოთებს ამერიკას. მას დამჯერი ირანი უნდა, ისეთი, როგორიც შაჰის ირანი იყო. მას ისეთი ირანი უნდა, რომელიც მუდამ პირში შესციცინებს ვაშინგტონს, მუდამ მზად იქნება მისი დავალებების შესასრულებლად. და ეს ყველაფერი ვაშინგტონს სურს არა მოლაპარაკების, არამედ ძალისმიერი გზით.

ვაშინგტონს უჭირს დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება — ეს დიდი ქვეყნის დაავადებაა და ამ დაავადებაში თავმოყრილია ქედმაღლობაც, სიძლიერის შეგრძნებაც, ყოვლისშემძლეობაც და სხვა. როდესაც ჩამოთვლილი მანკიერი თვისებები არ ქრის, ის იძულებულია მოსალაპარაკებელ მაგიდასთან დაჯდეს.

ათ წელზე მეტი შეალია ამერიკამ თალიბებთან ომს ავღანეთში. შედეგი, სავალალო — ასობით დაღუპული და ათასობით დასახიჩრებული ამერიკელი, ომით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური ვითარება. ხედავს რა ჩიხურ მდგომარეობას, ვაშინგტონი მზად არის თალიბებთან მოსალაპარაკებლად. ნუთუ არ შეიძლებოდა საკუთარი პოზიციების ისე გათვლა, რომ მოლაპარაკება გაცილებით ადრე დაწყებულიყო?! შეიძლებოდა!

ნუთუ არ შეიძლებოდა ირანთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყება? შეიძლებოდა! მაგრამ, როგორც ჩანს, სანამ ურემი არ გადაბრუნებულა, ვაშინგტონი არ არის მზად ამისთვის. და არათუ თვითონ, არამედ სხვასაც აიძულებს ასე მოიქცეს.

ვაშინგტონის „სტრატეგია“ საქართველოზეც აისახება, თუნდაც ისეთ საკითხში, როგორიცაა ირანთან ურთიერთობა. მას შემდეგ, რაც აშშ-ა ღრმად გაიდგა ფეხი კავკასიაში, ალმაცრად დაუწყო ყურება ირან-საქართველოს ურთიერთობას.

ვაშინგტონს არ მოეწონა საქართველოში, გაზის კრიზისის დროს, ირანის გაზის გამოყენება. „ერთ თვეში ამას ადგილი აღარ ჰქონდესო!“ — უბრძანა ვაშინგტონმა თბილისს და ჩასვრილმა, უთავმოყვარო სააკაშვილის ხელისუფლებამ უმალ უარი თქვა ირანიდან გაზის იმპორტზე. არადა, ამ თხოვნით თბილისმა მიმართა თეირანს.

სააკაშვილის ხელისუფლების ერთადერთი საღი საგარეო ნაბიჯი იყო, ირანთან სავიზო რეჟიმის გაუქმება. ეს ინიციატივა თეირანდან მოდიოდა და წინადადება სააკაშვილმა პოზიტიურად აღიქვა. ორ ქვეყანას შორის გაფორმდა სავიზო რეჟიმის მოხსნის ხელშეკრულება, რითაც ერთობ გაიოლდა ორ ქვეყანას შორის მიმოსვლა.

როგორც ჩანს, ეს საკითხი ვაშინგტონთან არ იყო შეთანხმებული და ამდენად, მან უკმაყოფილება (კულუარულად) გამოთქვა, საჯაროდ არა. მაგრამ საჯაროდ ააყვირა საქართველოში ამერიკული ფულით მოქმედი არასამთავრობოები - „ირანთან უვიზო მიმოსვლა როგორ შეიძლებაო!“

ირანთან თავისუფალი მიმოსვლის ხელშეკრულება ცხინვალის ომის შემდეგ გაფორმდა. იმჟამად, თეირანის ნაბიჯი, საერთაშორისო სარბიელზე საქართველოს შერყეული იმიჯის მხარდაჭერის მომასწავებელი იყო. გარდა ამისა, ირანი მხარს უჭერდა და უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რაც არაერთხელ დააფიქსირა გაეროში კენჭისყრის დროს.

სავიზო რეჟიმის გაუქმებამ სასიკეთო ძვრები მოუტანა საქართველოს. უპირველეს ყოვლისა, გაიზარდა ირანული ტურიზმი, გააქტიურდა ირანული ბიზნესი. საქართველოსთვის ჩვეულებრივად იქცა თბილისსა და ბათუმში მოსიარულე ირანელები, მათ მიერ უძრავი ქონების შეძენა, ოფისებისა და რესტორნების გახსნა. ყოველივე აღნიშნულმა ათეულ-ათასობით ევრო შესძინა საქართველოს ბიუჯეტს. სავიზო რეჟიმის გაუქმების შედეგად აზერბაიჯან-სომხეთში მიმავალი ირანული ტურიზმი საქართველოსკენ გადმომისამართდა.

და როდესაც ორი ქვეყნის ხალხთა ურთიერთობა უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას ლამობდა, ვაშინგტონმა ბრძანა — არაო. თქმა და მორჩილი მოქმედება ერთი იყო.

ამერიკული გაზეთის სტატიამ — საქართველოში ირანული ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით, იმდენად შეაშინა საქართველოს „ამაყი“ ხელისუფლება, რომ უმალ ირანს ნოტა აფრინა — სავიზო ხელშეკრულებიდან ცალმხრივად გამოსვლის შეტყობინებით. ამას ჰქვია „დამოუკიდებელი“ პოლიტიკა და, რაც მთავარია, „გამჭრიახი“ დიპლომატია.

მკითხველს შევახსენებ, რომ ირანი სწორედ ის ქვეყანა იყო, რომელმაც დამოუკიდებლობის გაუსაძლის წლებში დახმარების ხელი გამოუწოდა საქართველოს. ეს ის ქვეყანაა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა მასთან. ირანი რეგიონის მძიმეწონიანი მოთამაშეა და მასთან აგდებული დამოუკიდებლება არ წაადგება საქართველოს.

დავუშვათ, აშშ-მა გვისაყვედურა, საქართველოს ხელისუფლებას ძალა არ შესწევს აუხსნას მას ვითარება? ან რა ურთიერთობაზეა საუბარი? იმაზე, რომ ირანელი ტურისტები ჩამოდიან საქართველოში ან ირანული ბიზნესი ამოქმედდა? ან თითო-ოროლა მეცნიერი თუ თანამშრომლობს ერთმანეთთან საუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის კვლევის მიზნით?

არ ვარ დარწმუნებული, რომ ოფიციალურმა ვაშინგტონმა თითი დაგვიქნია. და თუ ეს მართლაც მოხდა, ასეთთან „სტრატეგიული პარტნიორობა“ რაში წაგვადგება?! ასეთს ხომ უყოყმანოდ შეუძლია ჩვენი ირანის საწინააღმდეგოდ გამოყენება ისე, როგორც ავღანეთში გვიყენებს? და თუ ვაშინგტონმა თითი არ დაგვიქნია, რა გვსჯის?

საოცარია ქართული პოლიტიკა, მით უმეტეს დიპლომატია. მის ლაბირინთებში გარკვევას ორი ბოთლი ჭაჭაც არ უშველის. არ უშველის იმიტომ, რომ სიცარიელეში ძებნა უშედეგოა. როგორც მეგრელები ამბობენ — ვავა, ვავა!





**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ⊙ ალიან-ჩალიანი

### იშხანში ქართველი სპეციალისტების ჩასვლა თურქეთის ელჩის დამსახურებაა

**იშხანზე** განხორციელებული სამუშაოების მოსანახულებლად თურქეთში საქართველოდან ექვსკაციანი დელეგაცია გაემგზავრა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტის დირექტორმა ბესიკ მაცაბერიძემ განუცხადა, ეს იქნება ტაძარზე განხორციელებული სამუშაოების შეფასებითი ვიზიტი. მისივე თქმით, ისინი ჩავლენ იშხანში, შეხვდებიან ადგილობრივ კოლეგებს, მათ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს გაუზიარებენ და მათთან ერთად სამომავლო სამუშაოებს დაგეგმავენ. შემდეგ დელეგაციის წევრები ოშკში გადავლენ და ტაძარს მოინახულებენ.

ჯგუფის შემადგენლობაში კულტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ცენტრის წარმომადგენლები, ასევე საპატრიარქოდან ერთი რესტავრატორი იმყოფება.

მაცაბერიძემ აღნიშნა, რომ თურქეთში, იშხანზე ქართველ სპეციალისტთა ვიზიტი თურქული მხარის კეთილი ნების გამოხატულების შედეგია. ამ მიზნით კულტურის სამინისტრომ საქართველოში თურქეთის ელჩს ერთი თვის წინათ მიმართა.

**მოსახლეობის აღწერა**



# რამდენნი ვართ, რა გვიჭირს, რა გვილხინს...

**მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ტარდება. ბოლო აღწერა საქართველოში 2002 წელს ჩატარდა, 2012 წელს ეს ღონისძიება გადაიდო და ახლა ეს პროცედურა 2013-2014 წლებში ჩატარდება. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული ტიპის ინფორმაციის დამუშავება, ვთქვათ, მოსახლეობის დემოგრაფიული პარამეტრები, მისი შიდა თუ გარე მიგრაციის მონაცემები და სხვ.,**

ყოველწლიურად ხორციელდება. წლეულს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პირველი ეტაპი 1 ივლისს აჭარა-გურიაში დაიწყო, რა დროსაც აღმწერები ყველა დასახლებულ პუნქტში თითოეულ ოჯახს მიაკითხავენ მოსახლეთა და შინამეურნეობათა ოდენობის დასადგენად, ხოლო ქვეყნის მასშტაბით მოსამზადებელ სამუშაოთა დასრულების შემდეგ, გაისად 5-19 ნოემბერს საველე სამუშაოების მეორე ეტაპზე თავად მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩატარდება. ამ დროს აღმწერები დაადგენენ ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობას თითოეულ ოჯახში და მათ შესახებ მაქსიმალურად ამომწურავ ინფორმაციას შეაგროვებენ, რომელიც ეხება **მოქალაქეობას, ეროვნებას, სქესს, ასაკს აღმსარებლობას, განათლებას, შრომისუნარიანობას, სოციალურ და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, ქონებრივ ცენზს, დასაქმებას, ეკონომიკური აქტივობის ტიპს და სხვ.**

სავსებით გასაგებია, რომ ქვეყნის მასშტაბით ასეთი მოცულობითი და შრომატევადი სამუშაოს ჩასატარებლად აუცილებლად საჭიროა სათანადო მეთოდოლოგია, ადამიანური (თანამშრომელთა, ანუ ინტერვიუერთა) რესურსი და ფინანსური სახსრები. რაც შეეხება მეთოდოლოგიას, გამოყენებული იქნება გაეროს სპეციალისტების მიერ შემუშავებული მოდელი, რომელსაც, ფაქტობრივად, მის წევრ ყველა ქვეყანაში იყენებენ, პარტნიორობას კი სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა გაუწევს, რაც, პირველ ეტაპზე ელექტრონული, კარტოგრაფიული რუკების შედგენაში გამოიხატება (და ამ მხრივ საქართველო სამხრეთ კავკასიაში პირველი ქვეყანა იქნება, რომელიც აღწერის ამ მეთოდს გამოიყენებს, რაც მონაცემთა მეტ საიმედობას უზრუნველყოფს).

„საქსტატის" აღმასრულებელი დირექტორის ზაზა ჭელიძის განცხადებით, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად საჭირო იქნება 18 ათასი კაცი (ამჟამად ამ ორგანიზაციაში 800 თანამშრომელია), ხოლო სავარაუდო ბიუჯეტი, რომლის კორექტირება, საჭიროების შემთხვევაში, მუშაობის პროცესში მოხდება, 18 მილიონი ლარია, რა თანხის ძირითად ნაწილს სახელმწიფო ბიუჯეტი გასცემს, ხოლო დანარჩენ ნაწილს, როგორც ჩანს, დონორები გაიღებენ. კერძოდ, ამ მიზნისთვის მსოფლიო ბანკმა საქართველოს მთავრობას უკვე გამოუყო 250 ათასი დოლარი, მოლაპარაკებები აღნიშნულ საკითხზე აგრეთვე სხვა დონორებთანაც მიმდინარეობს, რა პროცესი, ალბათ, წლის მიწურულისთვის დასრულდება და დაფინანსების სტრუქტურაც ამ დროისთვის გაირკვევა.

ამჟამად სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მონაცემთა მაქსიმალურად შესაძლებლად გამარტივების მხრივ. **საყოველთაო აღწერის შედეგად ქვეყანაში მოსახლეობის ოდენობა დაზუსტდება ორი ძირითადი პარამეტრით: პირველია განვლილ პერიოდში ბუნებრივი მატება (ანუ დემოგრაფიული მდგომარეობა, ესე იგი განსხვავება შობადობასა და გარდაცვალებას შორის), ხოლო მეორე — ესაა ეგრეთ წოდებული მიგრაციული სალდო (ანუ განსხვავება ქვეყნიდან საცხოვრებლად გასულ და შემოსულ ხალხს შორის).**

წელან ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა ვახსენეთ და აქვე აუცილებლად უნდა ვახსენოთ ერთი საგანგაშო გარემოება. გაეროს მოსახლეობის ფონდის სპეციალისტების პროგნოზით, **2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა, სავარაუდოდ, დაახლოებით მილიონი კაცით შემცირდება(!!)** ამასთან დაკავშირებით სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შობადობის შემცირების მხრივ განსაკუთრებით მძიმე ბოლო 15-20 წელი იყო ხოლო თუ ქვეყნიდან მოსახლეობის მიგრაციის სადღეისო ტემპი შენარჩუნდება, ზოგიერთ, განსაკუთრებით მაღალმთიან მხარეს სრული გაუკაცრიელების საშინელი პერსპექტივა აქვს. ამ უაღრესად საგანგაშო პროცესების მყისიერი გაუვნებელყოფა, ვთქვათ, შობადობის გაზრდით, ხარისხიანი ჯანდაცვით, სოციალური ყოფის გაუმჯობესებით და ა.შ., შეუძლებელია, ამიტომ მთავრობას მთელი ძალისხმევა მართებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებაზე უნდა იყოს მიმართული.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რთული და შრომატევადი, ქვეყნის მთელი ტერიტორიის მომცველი პროცესია, ამიტომ სავარაუდოა, რომ გარკვეული მონაცემები რაღაც ცდომილებით იქნება მიღებული, რის მიზეზი მისი გადამოწმების შესაძლებლობის უქონლობაა. **შედეგების ცდომილებები, კერძოდ, მოსახლეობისგან მიღებული ინფორმაციის ხარისხზე იქნება დამოკიდებული, ხოლო ზღვარი 3 პროცენტამდე იმერყევებს. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საინფორმაციო ბაზა შს საქმეთა სამინისტროსა და საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზებთანაა ინტეგრირებული. შესაბამისად, ინფორმაციის მიღება ავტომატურ რეჟიმში მოხდება, რაც ცდომილებათა დაშვების ალბათობას მნიშვნელოვნად შეამცირებს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

**ვულოცავთ!**

# ბუშეტის შეხვედრა და სამი ქართველი რაინდი

**პატარა** მდინარემ რომ სახელი გაითქვას, მის ნაპირებთან ან ომი უნდა გაიმართოს, ან დიდი კაცი დაიბადოსო, — ბრძენკაცს უთქვამს ეს. კახეთის არც თუ გამორჩეულ სოფელ ბუშეტს ერთი პატარა არხი ჩამოუდის და მის ნაპირებთან ომი გამართულიყოს, ისტორიას არ ახსოვს. და მაინც სოფელ ბუშეტის სახელი მსოფლიოშია გასმენილი. ჯერ იყო და მსოფლიოში გახმაურებული საბჭოთა ნოვატორი პედაგოგები გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ბუშეტში შეიკრიბნენ და მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღეს „თანამშრომლობის პედაგოგიკის" თაობაზე, რასაც დიდი საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. იგი არაერთ უცხოურ ენაზე ითარგმნა. ამ ორი წლის წინათ კი, აქ პირველად ჩატარდა ჰუმანური პედაგოგიკის იდეების მიმდევარი პედაგოგების საერთაშორისო შეხვედრა, რომელმაც მიიღო „ჰუმანური პედაგოგიკის" მანიფესტი. „ბუშეტის მანიფესტი" მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამოქვეყნდა და დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა მას. წელს კი, 15-17 ივლისს კვლავ შეიკრიბნენ ბუშეტში, დღეს უკვე მსოფლიოში აღიარებული პედაგოგიური მოძრაობის - ჰუმანური პედაგოგიკის მედროშენი და ერთხმად მიიღეს **ჰუმანური პედაგოგის ღირსების კოდექსი**. შეხვედრის გახსნას დაესწრო და მის პირველ სხდომაზე მუშაობაში მონაწილეობა მიიღო განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, აწ უკვე საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა.

მაინც რატომ იმართება საერთაშორისო შეხვედრები და კონფერენციები კახეთის ამ უმნიშვნელო სოფელში და რატომ გაისმა მისი სახელი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში? ომი არ გამართულა ბუშეტის არხის სიახლოვეს, მაგრამ დიდი კაცის სამშობლო კი არის იგი!

**ეს შეხვედრები და კონფერენციები მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი-პედაგოგის შალვა ამონაშვილის მამულში იმართება და უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებსაც აქ ღებულობენ, რადგან სწორედ იგია ჰუმანური პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლის ჩამყრელი, მისი ორგანიზატორი და დამამკვიდრებელი.**

**ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებლურ იდეებს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორიაში ჩაეყარა საფუძველი, ხოლო ამ იდეების პრაქტიკაში გამოცდა თბილისის 1 ექსპერიმენტულ სკოლაში ხორციელდებოდა. ახალგაზრდა ნიჭიერმა მკვლევარმა შალვა ამონაშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა მასავით ახალგაზრდა ენთუზიასტების მცირე ჯგუფი და დაიწყეს ისეთი თეორიის დამუშავება და შედეგების პარქტიკაში დანერგვა, რაც თავდაყირა აყენებდა იმჟამად დამკვიდრებულ პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკას. სწორედ ამიტომ, გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ, როგორც ქართული პედაგოგიკის იმჟამინდელი „მამების" მხრიდან, ისე პრაქტიკოსი პედაგოგების მხრიდანაც, რადგან ერთსაც და მეორესაც „მშვიდ ცხოვრებას" უნერგავდნენ. ეს იყო გასული საუკუნის სამოციანი წლები.**

შალვა ამონაშვილის ახალ პედაგოგიურ კონცეფციას მაშინვე მოჰყვა საერთაშორისო რეზონანსი და აღიარება მაშინდელ საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთაც, საქართველოში კი განათლების სისტემის ხელმძღვანელთა „პრინციპული" პოზიციის შედეგად, ექსპერიმენტის შედეგების რეალიზაცია, პრაქტიკულად, ერთი სკოლის ფარგლებს ვერ გასცდა. მეტიც, საქართველოს ყოფილმა ანუ ნაცების ხელისუფლებამ, შალვა ამონაშვილისა და მისი პედაგოგიური თეორიის ხსნებაც კი აკრძალა.

მსოფლიოში კი, კლასიკურ პედაგოგიურ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ახალი პედაგოგიური მოძრაობა ენთუზიასტთა ძალისხმევით სულ უფრო იკრებდა ძალას და გასული საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა კიდეც ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრი, რომლის პრეზიდენტი, ბუნებრივია, შალვა ამონაშვილი გახდა, რომლის შესანიშნავი წიგნები მრავალ ქვეყანაში ნოვატორ პედაგოგთა სამაგიდე წიგნებად იქცა.

ყოველ სიახლეს ენთუზიასტთა შრომა და თავდადება სჭირდება. ეს განსაკუთრებით განათლების დარგზე ითქმის, სადაც ნებისმიერი სიახლე მხოლოდ ათწლეულების შემდეგ იძლევა აშკარად ხელშესახებ შედეგებს. ასეა ჩვენშიც და სხვაგანაც. ამიტომ იყო, რომ ამ ორიოდე წლის წინათ ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრმა დააწესა „ჰუმანური პედაგოგიკის რაინდის" წოდება, რომელიც უკვე მიენიჭა რამდენიმე გამოჩენილ მეცნიერსა და პრაქტიკოს მოღვაწეს. ახლანდელ „ბუშეტის შეხვედრაზე" ამ მაღალი წოდების სამი ქართველი პედაგოგის ვინაობა გაცხადდა. ესენი არიან **თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მასწავლებლები ნანა ვადაჭკორია, ნანა ყიფიანი და პედაგოგიკის დოქტორი, მეცნიერი-პუბლიცისტი ზურაბ ცუცქირიძე.** მანამდე ეს წოდება მიენიჭათ პირველი ექსპერიმენტული სკოლის ცნობილ პედაგოგებს **მზია გვილავასა** და **ნათელა ამონაშვილს.**

ნანა ვადაჭკორიასა და ნანა ყიფიანის სახელები 70-80-იან წლებში პირზე ეკერათ ამონაშვილის პედაგოგიური თეორიისა და მეთოდიკის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. მომხრეები აღფრთოვანებულები იყვნენ მათი გაკვეთილებით. რეტროგრადები ერთობ შეშფოთებულები, ვაი თუ ჩვენც მათებრი მუშაობა მოგვთხოვონო. ნანა ვადაჭკორიასა და ნანა ყიფიანის კლასებში პირველკლასელების ჩარიცხვაზე ისეთი კონკურსები იყო, რომელიც მაშინდელ სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ კონკურესებს აჭარბებდა.

ეს შესანიშნავი მასწავლებლები, იმდროინდელი ა. ს პუშკინის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1967 წლიდან მუშაობენ თბილისის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში და სწორედ ისინი იყვნენ (მზია გვილავასთან ერთად) ის ენთუზიასტები, რომლებიც გადაჭრით და მტკიცედ დადგნენ ჰუმანური აღზრდისა და სწავლების პოზიციაზე და თავიანთი პედაგოგიური მრწამსისათვის არასოდეს ულალატიათ.

მიუხედავად ხილული თუ უხილავი წნეხისა, რომელიც ამ ახალი თეორიისა და მეთოდიკის მიმდევართა მიმართ ხორციელდებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც შალვა ამონაშვილი აიძულეს საქართველოდან წასულიყო, ეს პედაგოგები არ წყვეტდნენ მასთან კავშირს და ცდილობდნენ, ხშირად კონსპირაციულადაც, ჰუმანური პედაგოგიკის იდეებისა და პრინციპების განხორციელებას.

ამ პედაგოგებმა არაერთი შესანიშნავი მოქალაქის აღზრდას ჩაუყარეს საფუძველი, მათ სულსა და გონებაში ისეთი თესლი ჩაყარეს, რომელიც შემდგომში ველარაფერმა ამოშალა. ისინი დღესაც ჩვეული აქტიურობით არიან ჩართულნი იმ დიდ საერთაშორისო მოძრაობაში, რომელიც ჰუმანური პედაგოგიკის სახელით გაიცნო სამყარომ. სწორედ ამიტომ, არავის გაჰკვირვებია მათთვის „ჰუმანური პედაგოგიკის რაინდის" წოდების მინიჭება.

რაც შეეხება ზურაბ ცუცქირიძეს, საქართველოს პედაგოგიური და არაპედაგოგიური საზოგადოებრიობა მას იცნობს, როგორც მეცნიერსა და პუბლიცისტს, რომლის სტატიები და წერილები ოთხ ათეულ წელზე მეტია სისტემატურად ქვეყნდება ქართულ პედაგოგიურ და არაპედაგოგიურ პრესაში. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში იგი მტკიცედ დადგა ნოვატორ პედაგოგთა გვერდით, გახდა მათი იდეების დამცველი და პოპულარიზატორი, მათთან ერთდ გადაიტანა ის პერმანენტული შეტევები, რასაც კონსერვატორები (უარყოფითი აზრით!) ახორციელებდნენ ნოვატორების წინააღმდეგ. მისი პრინციპული პოზიცია მაშინაც არ შერყეულა, როდესაც ამ ათი წლის წინათ საქართველოში ტერორისტული ხელისუფლება მოვიდა. სწორედ ამიტომ მიანიჭეს მას „ჰუმანური პედაგოგიკის რაინდის" წოდება.

ვულოცავთ მათ ამ მაღალ აღაირებას და საქართველოს განათლების სისტემას ვუსურვებთ აღორძინებასა და აყვავებას, იმ მძიმე შედეგების დაძლევას, რაც ნაცების ხელისუფლებამ დამართა მას.

**კოტე დელამაური**

**წინასაარჩევნო ცხელება**

# როდის აქეთ დადის ივანიშვილი „ქრისტიან-დემოკრატების“ ჭკუაზე?!

## არასაპარლამენტო ოპოზიცია პოლიტიკური კრიზისის შექმნით იმუქრება



**ადვილი შესაძლებელია, 2013 წლის ოქტომბრის არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგეს. ოპოზიციონერები გაბრაზებას ვერ მალავენ, რადგან ხელისუფლებამ მათ ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მიღებული მემორანდუმი თავზე გადაახია. არადა, პარლამენტს მომავალ კვირას დაჩქარებული წესით უნდა განეხილა ამ მემორანდუმის საფუძველზე მიღებული ორი კანონპროექტი, რომელიც საარჩევნო გარემოს სხვადასხვა მიმართულებით გაუმჯობესებას შეეხებოდა და ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები იყო. რა მოხდა შემდეგ და რატომ? — ამის შესახებ ყველა თავისებურად მსჯელობს. თუმცა საყვედური საბოლოოდ მაინც პრემიერ-მინისტრამდე მიდის!**

გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ თითქმის ყველა ოპოზიციური ლიდერი შეიკრიბა იმაზე სამსჯელოდ, თუ რა პასუხი უნდა გაეცათ მმართველი გუნდისთვის, რომელმაც სრულიად მოულოდნელად განაცხადა, რომ უკვე შეთანხმებული ცვლილებების განხორციელებაზე უარს ამბობს. როგორც ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელმა ზაქარია ქუცნაშვილმა მედიასთან საუბარში აღნიშნა, მიზეზი ისაა, რომ მემორანდუმზე ხელი სამმა პოლიტიკურმა პარტიამ არ მოაწერა. ოპოზიცია კი ამტკიცებს, რომ ხელმოწერისგან მხოლოდ „ქრისტიან-დემოკრატებმა“ შეიკავეს თავი. თუმცა ყველაფრის მიუხედავად, ეს კანონპროექტების შეჩერების საბაბი მაინც არ უნდა გამხდარიყო. „როდის აქეთ დადის ბიძინა ივანიშვილი გიორგი თარგამაძის ჭკუაზეო?“ — ამბობენ გაწიწმატებულები. ისინი შეშფოთებულები არიან იმითაც, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციასა და მმართველ კოალიციას შორის მოლაპარაკებების პირველივე პრეცედენტი შეთანხმებული პირობების დარღვევით დასრულდა. ეს კი ეჭქვეშ აყენებს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას.

როგორც ვიცით, ინტერფრაქციული ჯგუფის პირველი შეხვედრა რამდენიმე თვის წინათ ბათუმში გაიმართა NDI-ისა და IFS-ის ხელშეწყობით. როგორც მემარჯვენე **მამუკა კაციტაძე** ამბობს: **„მმართველმა პარტიამ თავიდანვე განაცხადა, რომ განხილვასა და მსჯელობას კოალიციურ რეჟიმში გააგრძელებდა, რასაც მოჰყვა კიდეც მეორე შეხვედრა ქუთაისში. საკითხი შეეხებოდა ამომრჩეველთა სიის დახვეწას, პარტიების დაფინანსების წესის შეცვლას, ადმინისტრაციული რესურსების მოძიების ფორმირებას, მედიამონიტორინგსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ქუთაისში სრული კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა, თუმცა ამის მიუხედავად მემორანდუმს ხელი მოაწერა მოლაპარაკებებში მონაწილე ყველა პარტიამ, „ქრისტიან-დემოკრატების“ გარდა. მათ პრინციპული შენიშვნები ჰქონდათ და მხოლოდ ამის გამო შეიკავეს თავი ამის შემდეგ თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში ვაკონტროლებდი, თუ რა ბედი ეწეოდა ორ კანონპროექტს. ერთი შეეხებოდა პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, მეორე — საარჩევნო კოდექსს. როგორც კოორდინატორი მატყობინებდა, ინიციატივები უკვე დარეგისტრირდა, ეს საკითხები ბიუროს სხდომაზე გატარდება და პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე დაჩქარებული წესით მოხდება განხილვაო. ამ პასუხიდან 2 საათში ვიგებ ტელევიზიით, რომ კანონპროექტები შეჩერდა. თურმე შაბათს გაიმართა კოალიციის სხდომა და მმართველმა კოალიციამ პოზიცია შეცვალა.**

ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე ვარაუდობს, რომ კანონპროექტის ბედი თავიდანვე იყო გადაწყვეტილი და ახლა თითის გაშვერა ოპოზიციური პარტიისკენ უსამართლობააო. **„ჯერ ისევ IFS-ის ოფისში იდო ხელმოწერილი მემორანდუმი, როცა თინა ხიდაშელმა მე-9 არხის ღამის ეთერში განაცხადა, რომ ამაზე მსჯელობა დაიწყება მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგო“**. როგორც განაწყენებული ლიდერები ამბობენ, მმართველი გუნდის განცხადების პარალელურად შეინიშნება საარჩევნო გარემოს გაუარესებისკენ მიმართული სხვა შემაშფოთებელი ნაბიჯები — ამომრჩეველთა სიიდან რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების ამოღება, ადმინისტრაციული და პოლიტიკური რესურსების მობილიზაცია, საარჩევნო ადმინისტრაციისა და მედიის მკაცრი კონტროლი და პოლარიზაცია. თითოეულ ამ საკითხზე დღევანდელი ხელისუფლება კატეგორიულ უარს ამბობს ე.წ. „რვიანის“ წინანდადებაზე, რომელთა შემუშავებაშიც თავად მონაწილეობდა წინა ხელისუფლების პერიოდში.

ვეფხვაძის განცხადებით, **„დღეს ნაციონალურ მოძრაობას საარჩევნო ადმინისტრაციებში ყავს უმრავლესობა — 7 წევრი, ხოლო ქართულ ოცნებას — 6 წევრი, ხელისუფლება კი იბრძვის სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე, რაც ძალიან მიკვირს. კი ბატონო, თუ არ ეთმობათ 6 წევრი, ისე მაინც გააკეთონ, რომ ნაციონალურ მოძრაობას უმრავლესობა არ ჰყავდეს“** — დასძენს ის.

„ქორთიარდ მერიოტში“ არასაპარლამენტო ოპოზიციამ შეხვედრა „SOS-სიტუაციიდან“ გამომდინარე სპონტანურად გამართა, სადაც ზაქარია ქუცნაშვილის გვარი არასასურველ კონტექსტში არაერთხელ გახმიანდა, ხოლო თავად გადაწყვეტილება — ერთმმართველური სტილის დემონსტრირებად მოინათლა.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** პირდაპირ სდებს ბრალს „ქართულ ოცნებას“ და ამბობს, რომ **„ქართული ოცნების“ პარტიულმა ცეკამ ბაქრაძესთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ გადაწყვიტა მემორანდუმის დენონსირება, ხოლო ამჟამად „უსუფაშვილი-ბაქრაძის“ ფორმატში მიმდინარეობს ცვლილებების განხილვა. გიორგი მარგველაშვილი შესაძლოა გახდეს „ქართული ოცნების“ პრეზიდენტი ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტი. თუმცა, ის ვერ გახდება საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი, თუკი საარჩევნო გარემო მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდება“**. რაც შეეხება მოტივს, თუ რატომ არ თანხმდება მმართველი გუნდი ცვლილებებს, მისი თქმით, ეს სოციალურმა კვლევის შედეგებმა განაპირობეს: **„მარგველაშვილის რეიტინგი ყველაზე ოპტიმისტური შედეგითაც კი ვერ აჭარბებს 30 პროცენტს, როდესაც მას კიდევ 21 პროცენტი სჭირდება გასამარჯვებლად. ეს უნდა მოაგროვონ იმ გზით, როგორც მიხეილ სააკაშვილმა მოაგროვა 2008 წლის იანვარში“,** — ამბობს ის.

**„საქართველოში სახელისუფლებო სკამს ვირუსი აქვს,** — აცხადებს **გიორგი თარგამაძე, — ხოლო პირველი, რაც ამ ვირუსის შედეგად ემართებათ ის არის, რომ პოლიტიკური პარტიები და ლიდერები საერთოდ ივიწყებენ იმას, რისთვისაც მანამდე იბრძოდნენ. ამის მაგალითია დღეს „ქართული ოცნება“, რომელიც იმ მოთხოვნებს უარყოფს, რომელიც „პოლიტიკური რვიანის ფარგლებში ჩვენთან ერთად მისთვისაც მთავარი ამოსავალი იყო საარჩევნო გარემოს ჩამოსაყალიბებლად. „რვიანიდან“ 6 პარტია „ქართულ ოცნებაშია“. მეორეც, რასაც ვირუსი იწვევს ისაა, რომ ჰგონიათ, სამარადჟამოდ არიან მოსულები ხელისუფლებაში“.**

მმართველი გუნდი სავარაუდოდ, თავის ხისტ პოზიციას შეარბილებს, რადგან ოპოზიციისთვის ახალი წინადადებების შეთავაზებას აპირებს, თუმცა ჩანს, რომ მეორე მხარე გაცილებით შეუვალია, ვიდრე „ქართული ოცნების“ კოალიცია. **„პარლამენტის კოორდინატორმა კიდევ ერთი ახალი მესიჯი გამომიგზავნა წუხელ, რაღაც შეთანხმებას გთავაზობთ, თუმცა პასუხად მივწერე, ასეთი სახით შემდგომი თანამშრომლობა ვერ წარმომიდგენია-მეთქი“,** — აღნიშნა შეხვედრაზე კაციტაძემ.

სანამ ოპოზიცია „მერიოტში“ მოიყრიდა თავს. წინასწარ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია: **„შექმნილი ვითარების გამოსწორების მიზნით მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, მოახდინოს შეთანხმებული კანონპროექტების ინიცირება პარლამენტში და მათი დროული იმპლემენტაცია. დაუყოვნებლივ განაახლოს დიალოგი ოპოზიციურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან საარჩევნო გარემოს დემოკრატიული რეფორმების მიზნით. რეფორმის პროცესში გაითვალისწინოს „რვიანის“ (ანუ თავად დღევანდელი ხელისუფლების) წინადადებები და სამართლიანი არჩევნების შესახებ არსებული ევროპული სტანდარტები (ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმები). წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებლად მივიჩნევთ ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. რაც ქვეყანას ახალი პოლიტიკური კრიზისისკენ უბიძგებს“,** — იმუქრება ოპოზიცია.

**თეა მოსია**

**თანამშრომლობა**

# ევრობანკის ხელშეწყობით

**საქართველოში ერთ-ერთი სოლიდური ინვესტორი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების უმსხვილესი ბანკი (EBRD)-ია. ამდენად, მისი პრეზიდენტის სერ სუმა ჩაკრაბარტის ქვეყანაში საქმიანი ვიზიტი მთავრობის ხელმძღვანელობისთვის, მით უმეტეს ეკონომიკური გუნდის წევრთათვის, მეტად მნიშვნელოვანი, საგულისხმო გარემოებაა.**

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე სერ სუმა ჩაკრაბარტისთან საუბარი იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარების გზებზე ახალი მთავრობის ხედვაზე. ლაპარაკი შეეხო საშუალო და მცირე ბიზნესის, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკისა და საფინანსო სფეროების განვითარების მხარდაჭერას, საქართველოს დიდ ეკონომიკურ პოტენციალს, რომლის ჯეროვანი გამოყენება უაღრესად პოზიტიურ როლს შეასრულებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის შემდგომ წინსვლაში. სტუმარი გაეცნო ეკონომიკის სფეროში ბოლოდროინდელ ცვლილებებს. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ევრობანკის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ბანკის მხარდაჭერით ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციებისთვის და დაპირდა, რომ ახლო მომავალში საქართველოში საინვესტიციო გარემო უცხოური კაპიტალისთვის კიდევ უფრო მეტად მიმზიდველი გახდება.

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურის განცხადებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული ინვესტორი და დონორია, რომელთან თანამშრომლობის გაგრძელებას ეროვნული საფინანსო სისტემის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ სტამბოლში გამართულ ევრობანკის ყოველწლიურ შეხვედრაზე ამგვარი ფორუმის გასამართავად ერთ-ერთ პერსპექტიულ ქვეყნად საქართველო დაასახელეს და იმედი გამოთქვა, რომ 2-3 წელიწადში ჩვენ ამ თავყრილობის მასპინძლობის პატივი გვერგება.

თავის მხრივ სერ სუმა ჩაკრაბარტმა აღნიშნა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი კვლავაც გააგრძელებს საქართველოს ეკონომიკაში საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.

საქართველოს საფინანსო სფეროს განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი ახლო მომავალში ლარით დენომინირებულ პირველ ფასიან ქაღალდებს გამოუშვებს, რის შესახებ მისმა თავკაცმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ირაკლი ქადაგიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. ამასთან დაკავშირებით ბატონმა ირაკლი ქადაგიძემ, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ეროვნულ ბანკს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან ნაყოფიერი თანამშრომლობის სოლიდური გამოცდილება აქვს.

— ჩვენი მოღვაწეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ქვეყანაში დოლარიზაციის დონის შემცირება და, შესაბამისად, ლარის როლის გაზრდაა. ლარით დენომინირებულ ფასიან ქაღალდებს ევრობანკი შემოდგომაზე გამოუშვებს და ეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მხრივ ამ ტიპის პირველი აქცია იქნება, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას და, რაც მეტად საგულისხმოა, საპროცენტო განაკვეთების კლებას.

**ზურაბ ხომერიკი**

**ინფორმაცია თემაში**

***სადღეისოდ ევრობანკს საქართველოში 1,8 მილიარდი ევროს ღირებულების დაახლოებით 150 პროექტი აქვს განხორციელებული, რომელთაგან 80 პროცენტზე მეტი კერძო სექტორზე მოდის.***

**ალიან-ჩალიანი**



### თსუ-ს რექტორის არჩევნებში 14 კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აცნობეს , საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში ვლადიმერ პაპავა, გიორგი ქავთარაძე, გიორგი ბარამიძე, ილია თავხელიძე, ცირა ბარამიძე, მერაბ ცაგარელი, ირმა რატიანი, მედეა ჩუხუა, მარინა მუსხელიშვილი, მანანა ხაჩიძე, მარინე ჩიტაშვილი, ინესა მერაბიშვილი, ნონა წოწერია და დავით გოცირიძე გაატარა.**

**თსუ-ს ცნობით, რექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების სურვილი სულ 19-მა პირმა გამოთქვა.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შემოწმება გზებზე

## სამხრეთი ოსეთი ქართულ ავტომობილებს თავის ტერიტორიაზე შესვლას უკრძალავს

**18 სექტემბრიდან ავტომობილები ქართული ნომრებით ვერ შეძლებენ დაუბრკოლებლივ შევიდნენ ახალგორში, ტერიტორიაზე, რომელიც უმთავრესად ეთნიკური ქართველებითაა დასახლებული და რომელიც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ გადავიდა უღიარებელი სამხრეთი ოსეთის ხელისუფლების კონტროლქვეშ.**

სამხრეთი ოსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობების თანახმად, ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვნად გართულდება გამყოფი ხაზის გადაკვეთა.

კერძოდ, მსურველებს, მოხვდნენ სამხრეთ ოსეთში, მოუწევთ ქართული სანომრონიშნიანი ავტომობილების პარკირება




საზღვართან, შემდეგ ფეხით გადასვლა გამტარ პუნქტზე და ამის შემდეგ ჩასხდომა სატრანსპორტო საშუალებებზე სამხრეთი ოსეთის ნომრებით. სამხრეთმა ოსეთმა განაცხადა, რომ აკრძალვა ტრანსპორტის ტრანზიტზე ხორციელდება ალკოჰოლისა და ხილის „კონტრაბანდის“ შესაჩერებლად.

ადრე, 4 ივლისს, სამხრეთი ოსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე შესვლის წესების გამკაცრების შესახებ. კერძოდ, ძირითადი წესების შესაბამისად, „უცხოეთის მოქალაქეებმა უნდა მიმართონ სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებებით, რომ აქვთ სურვილი შევიდნენ სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკაში 3 სამუშაო დღით ადრე სავარაუდო ვიზიტამდე, რათა მიიღონ ნებართვა შესვლაზე“. აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნა არ ვრცელდება რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებზე.

მაისის ბოლოს რუსეთის მესაზღვრეებმა დაიწყეს დაბრკოლებების აღმართვა მავთულხლართებით ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ 300 მეტრის სიღრმეზე იმ ტერიტორიაში, რომელიც თბილისის კონტროლს ქვეშაა. ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და ნატოს მეთვალყურეებმა გამოთქვეს შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის მესაზღვრეების ეს მოქმედებანი ეწინააღმდეგება საერთაშორისო შეთანხმებებს.

თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ „არასამართლიანად“ მიაჩნია მცდელობა, მიუთითონ რუსეთის ფედერაციაზე საქართველოსა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრის სადემარკაციო ზოლის გადატანასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მოსკოვის მტკიცებით, სამხრეთი ოსეთი, როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფო“, ღებულობს მხოლოდ ზომებს „თავისი სახელმწიფო საზღვრის მოსაწყობად“.

### თბილისის შეფასება

**თბილისი ვერ მალავს გაწბილებას. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კომენტარებში რუსეთის მესაზღვრეების მიერ საზღვრისპირა დაბრკოლებების დაყენებასთან დაკავშირებით მავთულხლართებით ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თბილისმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების აღდგენა 2 სახელმწიფოს შორის. პრემიერი აცხადებდა, რომ იმედი ჰქონდა „სხვა დამოკიდებულებისა“ მოსკოვის მხრიდან.**

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ბრალს სდებენ საქართველოს მთავრობას რუსეთთან პოლიტიკის არასწორ წარმართვაში და აცხადებენ, რომ მიზეზი, რამაც გამოიწვია „საოკუპაციო მოქმედებათა აქტივიზაცია“, არის მოსკოვისთვის „ცალმხრივი დათმობები“ ახალი ქართული ხელისუფლების მხრიდან.

### „არააგრესიული პოლიტიკა“

**კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი უკანასკნელ მოვლენებს ხსნის რუსეთის მმართველი წრეების „იმპერიული ამბიციებით“. კერძოდ, ექსპერტი რუსეთის სამხედროების მოქმედებას სამხრეთი ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან აფასებს, როგორც მოსკოვის მისწრაფებას „აგრძნობინოს საქართველოს თავისი უმნიშვნელობა რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაში“.**

პოლიტოლოგი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის ამჟამინდელ ხაზს. ექსპერტს მიაჩნია, რომ სააკაშვილის მთავრობის დროს, საქართველოს პრეზიდენტისთვის „დამახასიათებელი აგრესიული“ რიტორიკის წყალობით, სეპარატისტებისთვის უფრო იოლი იყო „დაეშინებინათ“ ადგილობრივი მოსახლეობა და გაემართლებინათ თავისი მოქმედება იმით, რომ საქართველოდან მოდის „დაშინება“.

ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ კონსტრუქციული მოქმედებებით თბილისმა შეძლებს არ მიიღოს შედეგები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევაშიც კი, ხუციშვილის სიტყვებით, წინა ხელისუფლება მაინც არ იქნება გამართლებული: „არააგრესიული პოლიტიკა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ოსებმა და აფხაზებმა თანდათან გაიგონ, რომ დაშინება საქართველოდან არ მოდის. ნდობის აღდგენის გარეშე ადამიანთა დონეზე, ზედმეტია ვილაპარაკოთ ამა თუ იმ პოლიტიკური სტრატეგიის შედეგიანობაზე“.

Voice of America

# ყოფილი პრემიერი საქართველოს იზოლირებას ახდენს

## ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებამ გაართულა ევროკავშირთან და ნატოსთან ინტეგრაცია

**საქართველოს ევროკავშირთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოება აღმოჩნდა კითხვის ნიშნის ქვეშ ყოფილი პრემიერისა და პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი გენერალური მდივნის ვანო მერაბიშვილის დაპატიმრების გამო. გაფართოების ევროკომისარმა შტეფან ფიულემ გვაგრძნობინა, რომ შემოდგომით ვილნიუსის მომავალ სამიტზე ევროკავშირი მოახდენს პარაფირებას, მაგრამ არ მოაწერს ხელს შეთანხმებას თბილისთან ასოციაციის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა საქართველოს შემდგომი ინტეგრაცია ნატოში. თბილისში საუბრობენ, რომ ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული ისტორია სულ უფრო მეტად შეგვახსენებს უკრაინაში იულია ტიმოშენკოსთან დაკავშირებულ სიტუაციას.**

სატელეფონო საუბარი შტეფან ფიულესა და ვანო მერაბიშვილს შორის ერთი კვირის წინათ გაიმართა საქართველოში ევროკომისრის ვიზიტის დროს, მაგრამ ეს ცნობილი გახდა მხოლოდ 17 ივლისს — ექსპრემიერმა ადვოკატის დახმარებით ისაუბრა ამის შესახებ „ფეისბუქში“. სხვათა შორის, თავად ევროკომისარმაც აღიარა: **„ჩვენ გამოვთქვით შეშფოთება ექსპრემიერისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის დაკავებასთან დაკავშირებით“.** ეს განცხადება „გაშიფრა“ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა: **„მთავრობის მოქმედებათა გამო ევროკავშირი ვილნიუსის სამიტზე მოახდენს ხელშეკრულების პარაფირებას ჩვენთან ასოციაციის შესახებ, მაგრამ უარს იტყვის მასზე ხელმოწერაზე“.**

საფრთხე გამოიყურება საკმაოდ რეალურად, მით უმეტეს, რომ ბრიუსელმა გააგრძელა დემარში. ამ დღეებში ბატონი მერაბიშვილი მოინახულა ევროპარლამენტის ვიცეპრეზიდენტმა იაცეკ პროტასევიჩმა, 17 ივლისს კი მას შეხვდა მთელი დელეგაცია. **„მერაბიშვილის დაპატიმრების სხვა მოტივებს ვერ ვხედავ, გარდა პოლიტიკურისა“,** — განაცხადა შეხვედრის შემდეგ ევროდეპუტატმა კშიშტოფ ლისეკმა. მისმა კოლეგამ არნო დანჟანმა დაიჩივლა, რომ პატიმარს „უკრძალავენ გარე სამყაროსთან ურთიერთობას“.

როგორც ჩვენს გაზეთთან საუბარში პარლამენტის იურიდიული საკითხების კომიტეტის ხელმძღვანელმა ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, „ევროპარლამენტარების პრეტენზიები უსაფუძვლოა“, ვინაიდან „აღმკვეთი ღონისძიება მერაბიშვილისთვის სასამართლომ აირჩია, ხოლო ის განცხადებები კი, რომლებიც ჩვენ მოვისმინეთ, სხვა არაფერია, თუ არა სასამართლოსადმი უპატივცემლობა“. დეპუტატმა გამოთქვა რწმენა, რომ „ევროპარლამენტის წევრების განცხადებები ხელს არ შეუშლის საქართველოს დაახლოებას ევროკავშირთან“.

სიტუაცია ბიძინა ივანიშვილის მთავრობისთვის რთულდება კიდევ იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელსაც პრემიერი არაერთგზის უწოდებდა ქვეყნის მთავარ მეგობარსა და მოკავშირეს, ასევე გამოთქვამს უკმაყოფილებას ბატონი სააკაშვილის თანამებრძოლების დაპატიმრებასთან დაკავშირებით.

**სხვათა შორის, მიუხედავად მკაცრი კრიტიკისა, საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ჩანს, არ აქვს განზრახული შეარბილოს პოზიცია ოპონენტებთან დაკავშირებით. „რაც უნდა ილაპარაკონ დასავლეთმა და სააკაშვილის პატივისმცემლებმა, ხელისუფლებას არ აქვს უფლება მშვიდობიანად ითანამშრომლოს დამნაშავეებთან,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში პარლამენტის ექსსპიკერმა ნინო ბურჯანაძემ. **— განა თავად ფრანგები და გერმანელები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ურიგდებოდნენ ფაშისტებს?“.**

Коммерсант

## დედამიწის ზურგზე



**თალიბებმა სიკვდილით დასაჯეს 8 ავღანელი, რომლებიც ნატოს ბაზაზე სამუშაოდ მიდიოდნენ და თვალები დათხარეს მათ**

თალიბებმა გააჩერეს ტრანსპორტი, რომელზეც ერთ-ერთი ბაზის სამოქალაქო თანამშრომლები მიდიოდნენ სამუშაოდ, გამოიყვანეს ისინი მანქანიდან და ერთი-მეორის მიყოლებით დახვრიტეს თავში სროლით. თალიბები ასევე უტევდნენ პოლიციის პოსტს ქალაქ კუნდუზის მახლობლად ამავე სახელწოდების პროვინციაში.

* * *

**თეთრმა სახლმა სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტს წარუმატებელი იდეა უწოდა. მაგრამ ობამამ შეიძლება მაინც ვერ შეძლოს მოსკოვში ჩასვლა სექტემბერში**



ასეთი ვიზიტი იგეგმებოდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პეტერბურგში „დიდი ოცეულის“ სამიტზე ჩასვლასთან კავშირში. ახლა კი ობამას ადმინისტრაციამ ამ საკითხთან დაკავშირებით დაიკავა „წინასწარგანზრახული გაურკვევლობის“ პოზიცია. ამრიგად, ვაშინგტონი „ადასტურებს, რომ არ უნდა მიმართოს მტრულ განწყობილებას“ თავისი უკმაყოფილების გამო რუსეთში სნოუდენის ყოფნასთან დაკავშირებით.

* * *

**ლოს-ანჯელესში ტურისტებზე 40 მოზარდის თავდასხმის შემდეგ გაძლიერდა ჰოლივუდის ბულვარის დაცვა**



ოთხშაბათს ღამით ნიღბებიანი მძარცველები მირბოდნენ გამვლელებთან, სტაცებდნენ ჩანთებსა და ტელეფონებს, რის შემდეგაც კვლავ ახალ ჯგუფებად უტევდნენ ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ღირსშესანიშნაობის მიმსვლელებს.

* * *

**სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკაში მანდელას 95-წლისთავს აღნიშნავენ: თავად იუბილარი ძველებურად საავადმყოფოშია**

თუმცა, მისმა ქალიშვილმა განაცხადა, რომ აპარტეიდთან ლეგენდარული მებრძოლის მდგომარეობა გაცილებით უკეთესია: მან დაიწყო ტელევიზორის ყურება, ქალიშვილს კი გაუღიმა და ხელიც მაღლა ასწია. გასულ კვირას პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მანდელამ დაიწყო მკურნალობაზე რეაგირება.



**გვწერენ**

# მე რომ ქალაქის მერი ვიყო...

**ასეთი რუბრიკა, ალბათ ახლაც ახსოვთ თბილისელებს, თავის დროზე გაზეთ „თბილისს“ ჰქონდა, რომლის მეოხებითაც მოსახლეობისთვის ეს მართლაც საყვარელი გამოცემა დედაქალაქის მტკივნეულ და საჭირბოროტო საკითხებზე ამახვილებდა ადგილობრივი ხელისუფლების ყურადღებას. ქართულ ნაციონალურ ვეშაპს, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ, არც ეს გაზეთი გადაურჩა და ისე ჩაყლაპა თავის შენობიანად, რომ მისგან ბუნდღაც არ დატოვა.**

ასეთ ვითარებაში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთადერთია, რომელიც დედაქალაქის საჭირბოროტო საკითხებს ყოველთვის ეხმიანება. ამიტომაც გადავწყვიტე, თქვენთვის მომემართა. მინდა რეკონსტრუირებულ გმირთა მოედანზე შევაჩერო მკითხველის ყურადღება. აქ აშკარად გამოჩნდა ის „ვიწრო ადგილები“, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, რაც ინჟინრული თვალსაზრისით აუცილებლად შესასწავლია. დღეს ყველა ხედავს, რომ ჩელუსკინელების ხიდიდან წამოსულ ესტაკადაზე ასასვლელი გზა ვიწროა. რის გამოც მანქანების რიგი დასახელებულ ხიდამდე ქრონიკულად დგება. ცხადია, მომავალში, როცა აქვე, აკადემქალაქის გორაზე, სასტუმროს მშენებლობა დასრულდება, ამ ადგილზე სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება.

ასევე საცობები იქმნება საცურაო აუზის წინ, სადაც რამდენიმე ავტოგასამართი სადგურია ჩახერგილი. ამ ფირმებს ქალაქის მესვეურები სხვა ადგილს თუ გამოუყოფენ, ვფიქრობ, არაფერი დაშავდება, პირიქით, გზაც გაფართოვდება და საცობის პრობლემაც მოიხსნება.

ადრე თქვენს გაზეთში ვწერდი, რომ აეროპორტში მატარებლის მიმოსვლა უიღბლო პროექტი გამოდგა. ფაქტია, ასეც მოხდებოდა, არ არის ჩვენში მატარებლების ისეთი ინტენსიური მოძრაობა, როგორიც, მაგალითად, ფრანკფურტშია. მაგრამ ხომ შეიძლება ახლა ეს ლიანდაგი და ლამაზი სადგური მიწისზედა მეტროს სადგურად გადაკეთდეს და ის ლუდსახარშ „კასტელის“, ანუ ლილოს ბაზრობის წინ გაკეთდეს? ვფიქრობ, ქალაქისთვის ეს კარგი შენაძენი იქნება და ხალხიც დაგლოცავთ. მეტროს ხაზის გაყვანა არც დიღომში „კარფურამდეა“ ინჟინრულად შეუძლებელი. აქ მეტროს მიყვანას ერთი ხიდი დასჭირდება და შესაძლებელი გახდება დიდი დიღმის მოსახლეობაც მეტროს ამ ხაზში ჩაერთოს.

კიდევ ერთი საკითხი. სასიხარულოა, როცა შენს დედაქალაქში რაიმე ლამაზდება და კეთდება, მაგრამ რა უბედურებაა შენობებზე საღებავებით ჯღაბვნა? მაგალითად, მარჯანიშვილის ქუჩაზე ახალაზრდებმა თავიანთი „ავტოგრაფიც“ დატოვეს — „სტუდენტები“. არ მინდა დავიჯერო, რომ ასეთი თვალთახედვის სტუდენტები გვყავს. ჩვენ გვიყვარს და გვტკივა ჩვენი დედაქალაქი, ამიტომაც მოვითხოვ, ვიზრუნოთ მასზე, გავუფრთხილდეთ და გავალამაზოთ, გზის გამყოფები და ესტაკადის ქვეშ არსებული ფართობები ხრეშით კი არ ამოვავსოთ, არამედ გავამწვანოთ და გავამშვენიეროთ. მე რომ თბილისის მერი ვიყო, ვიფიქრებდი საბურთალოს ბოლოდან წყნეთის გზაზე მანქანების გადასასვლელ ხიდზე, ასევე, ორთაჭალიდან საავიაციო ქარხნისკენ მიმავალ გადასასვლელ ხიდზე, რომელთა აუცილებლობა დღეს ნამდვილად არის. რა თქმა უნდა, თბილისი ლამაზი ქალაქია, მაგრამ ამ სილამაზეს გაფრთხილება სჭირდება.

**მალხაზ დოლიძე,**
**თბილისელი ინჟინერი.**

# ჩვენ მოწყალებას კი არა, დამსახურებულ პენსიას მოვითხოვთ

**შემთხვევითი არ გახლავთ, რომ ასაკოვან ადამიანებში ეკონომიკური კეთილდღეობისკენ სწრაფვა იზრდება და გარკვეული წლების შემდეგ ისინი სრულიად სამართლიანად სახელმწიფოსგან შესაბამის საპენსიო უზრუნველყოფას ელიან. საქართველოს ხელისუფალთაგან ყოველდღიურად ვისმენთ, რომ ევროპისკენ მივდივართ, ქვეყნის ეკონომიკა და დემოკრატია იზრდება, მალე ნატოშიც შევალთ და უკეთესი თავდაცვა და ბედნიერი ცხოვრება გვექნება.** ასეთი სურვილები კარგია, მაგრამ მაშინ რა გვიშლის ხელს დამსახურებული ადამიანები ღირსეულად დავაფასოთ და თუნდაც ღირსების ორდენოსნები მაინც უმნიშვნელოდ გამოვყოთ სხვათაგან შესაბამისი პენსიებით. როგორც შევიტყვეთ, ძალოვანი სტრუქტურების მუშაკთა პენსიებმა მოიმატა, სხვები კი უყურადღებოდ დავრჩით. ასეთი მიდგომა გაუმართლებელია, მიგვაჩნია, რომ შრომითი სტაჟისა და დამსახურების მიხედვით პენსიები, თუნდაც მიზერული განსხვავებით, აუცილებელია.

ვიცი, ოპონენტები იტყვიან, უახლოეს წარსულში მიზერული პენსიები რიგდებოდა და რატომ მაშინ ხმას არავინ იღებდაო. ასეთ ოპონენტებს ავიწყდებათ, რომ ადამიანებს „ცუდი“ კომუნისტების ხელშიც კი საკავშირო პერსონალური და შრომის გმირის პენსიები ეძლეოდათ დამსახურებისა და სტაჟის მიხედვით., ჰქონდათ უფასო ტრანსპორტი, კომუნალური შეღავათები, ეძლეოდათ საგზურები სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. მართალია, ასაკოვნები ვართ, მაგრამ ჯერ არც დავყრუებულვართ და არც დავბრმავებულვართ, კარგად ვხედავთ სახელმწიფო ჩინოვნიკებს რა გაუგონარი ხელფასები და პრემიები აქვთ. საკმარისია ერთხელ გახდე პარლამენტის წევრი და მთელი ცხოვრება მაღალი პენსიით უზრუნველყოფილი გაქვს. ამიტომაც იკლავენ პარლამენტარობაზე თავს ეს ბატონები, გამონაცვალ მანქანას აღარ კადრულობენ და ძვირადღირებული ჯიპებით დაგრიალობენ, საზღვარგარეთის ქვეყნებში უაზრო მოგზაურობებში ფლანგავენ ხალხის შრომით მოპოვებულ თანხებს. მარტო თვითონ კი არა ოჯახის წევრებსაც ანებივრებენ უცხოეთში წვეულებებით, ხოლო შვილებს, — იქაურ უნივერსიტეტებში სწავლით.

ამას ყველაფერს დიდი სახსრები სჭირდება, რასაც ხელისუფალნი სათავისოდ არ ზოგავენ, ჩვენ კი, პენსიონერებს საარსებო მინიმუმსაც არ გვაძლევენ, რათა ვიარსებოთ და ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ. ჩვენ მოწყალებას კი არა, იმის მოცემას მოვითხოვთ, რაც წლების მანძილზე პირშეუმშრალი ოფლის ფასად მოვიპოვეთ.

**ვალიკო დობორჯგინიძე,**
**პენსიონერი, ღირსების ორდენოსანი.**

**ალიან-ჩალიანი**

## თვის ბოლოს გვეცოდინება, ავიღებთ თუ არა ახალ პირადობის მოწმობებს

**პირადობის ახალ მოწმობებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს იუსტიციის სამინისტრო მიმდინარე თვის ბოლოს გამოაქვეყნებს, — ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.**

**მინისტრის თქმით, ახალი პირადობის მოწმობების გაყალბება შეუძლებელია, რაც ნიშნავს, რომ საარჩევნო პრობლემები მოგვარდება.**



**— ახალი პირადობის მოწმობები, რომელსაც წინა ხელისუფლება გაუგებარ სიტყვას - ID ბარათებს ეძახდა, ეს არის ჩვეულებრივი პირადობის მოწმობა, მაგრამ არაჩვეულებრივი იმ გაგებით, რომ ძველი მოწმობებისგან განსხვავებით მისი გაყალბება შეუძლებელია და ის ბევრად დაგვეხმარება საარჩევნო პრობლემებიც მოვაგვაროთ. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი სოციოლოგიური კომპანიის მიერ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა, საჯარო გახდება ივლისის ბოლოს და ჩვენ საზოგადოებას გავაცნობთ იმ შედეგებს, რაც ამ კვლევის დროს გამოვლინდა, კერძოდ, ჩვენი საზოგადოების განწყობებს ამ დოკუმენტის მიმართ, — განაცხადა თეა წულუკიანმა.**

ინტერპრესი

**დაგვიანება — ცუდი ჩვეულება**

# სანდრა რულოვსის გამო დიპლომატები აეროპორტში სამი საათი აყურყუტეს

**12 ივლისს ბათუმი-თბილისის ავიარეისის მგზავრებს ბათუმის აეროპორტში ორ საათზე მეტ ხანს ლოდინი მოუწიათ. აღსანიშნავია, რომ ამ რეისით უნდა ემგზავრათ საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს მთავრობის მრჩეველს ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამერბერგს, ასევე ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს და კიდევ რამდენიმე ქვეყნის ელჩს, რომლებიც ბათუმში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციიდან „საქართველოს ევროპული გზა“ თბილისში მოფრინავდნენ.**

ბათუმის აეროპორტში აღნიშნული რეისის მგზავრებს განუმარტეს, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გარკვეული პრობლემები შეიქმნა და რეისიც სწორედ ამის გამო გადაიდო, თუმცა, წინასწარ ამის შესახებ მგზავრები გაფრთხილებულები არ ყოფილან.



რეისის გადადების მიზეზებთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვები გააჩინა თვითმფრინავის აფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე აეროპორტში საქართველოს პირველი ლედის სანდრა რულოვსის გამოჩენამ. ისიც სწორედ ამ რეისით გამოფრინდა თბილისში, თუმცა სხვა მგზავრების მსგავსად, სამი საათი ლოდინი არ დასჭირვებია. იგი სწორედ თვითმფრინავის გაფრენის დროს მივიდა ადგილზე.

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი for.ge-სთან საუბარში განმარტავს, რომ ბათუმის აეროპორტში მისვლისას მგზავრებმა ჩვეულებრივად გაიარეს რეგისტრაცია, ასევე უსაფრთხოების შემოწმება, უკვე თვითმფრინავში ჩასხდომას ელოდებოდნენ, მაგრამ ამ დროს რამდენიმე ელჩს ბილეთებში ადგილები შეუცვალეს, კერძოდ, საუბარია საფრანგეთსა და იტალიის ელჩებზე, რომლებიც ნანუაშვილის თქმით, ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგნი იყვნენ, რადგან ბილეთები უკვე გამოწერილი ჰქონდათ. ამის შემდეგ ბათუმი-თბილისის რეისის მგზავრებს უთხრეს, რომ რეისი ცოტა ხნით დაიგვიანებდა, თუმცა ამის მიზეზები არ განუმარტავთ.

**„მას შემდეგ, რაც ჩვენ თვითონ დავიწყეთ რეისის გადადების მიზეზების გარკვევა (და ჩვენს შორის ძალიან ბევრი დიპლომატიური მისიის წარმომადგენელი იმყოფებოდა), განგვიმარტეს, რომ თბილისის აეროპორტი თვითმფრინავს ვერ ღებულობდა, ანუ პრობლემა იყო თბილისში, რაც ცოტა უცნაური გვეჩვენა, რადგან მოგეხსენებათ, თბილისში ღამის განმავლობაში ყველა რეისი შეუფერხებლად სრულდება ხოლმე“,** — აცხადებს უჩა ნანუაშვილი.

**მისი თქმით, ამის შემდეგ მგზავრებს დაახლოებით 2.5 -3 საათი ლოდინი მოუწიათ, თუმცა რეალურად რა გახდა რეისის გადადების მიზეზი, მათთვის უცნობი დარჩა. ოფიციალურად კი მხოლოდ ზემოთ მოყვანილი განმარტება გაკეთდა. უჩა ნანუაშვილი აცხადებს, რომ რეისის გამოფრენამდე რამდენიმე წუთით ადრე ადგილზე მივიდა საქართველოს პირველი ლედი, თუმცა, უკავშირდებოდა თუ არა მას რეისის დაგვიანება, ამის შესახებ სახალხო დამცველმა არაფერი იცის. უჩა ნანუაშვილის თქმით, ბათუმი - თბილისის რეისი 22.40 წუთზე უნდა შესრულებულიყო.**

როგორც ავიაკომპანია „აირზენაში“ განმარტავენ, რეისის ბათუმიდან გამოფრენა ორი საათით გადაიდო იმის გამო, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დასაფრენი ზოლის შეკეთებითი სამუშაოები მიმდინარეობდა და აეროპორტი ბათუმი-თბილისის რეისის მისაღებად მზად არ იყო.

„აირზენას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ქეთი მგელაძემ for.ge-სთან საუბარში აღნიშნა: **„თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენმა ბილიკმა არ მოგვცა ბათუმიდან გამოფრენის საშუალება და არ მესმის, რატომ ქმნით ასეთ პრობლემას ამ საკითხიდან. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო მგზავრი, სანდრა რულოვსი, თუ ვინმე სხვა, ჩვენთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენთვის ყველა მგზავრი ერთია“,** — განაცხადა ქეთი მგელაძემ.

**მისი თქმით, ბათუმი-თბილისის რეისი 12 ივლისს 14.20 საათზე უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ამ შეფერხების გამო ორი საათის დაგვიანებით შესრულდა.**

ვინაიდან „აირზენა“ თბილისის აეროპორტისკენ იშვერს ხელს, for.ge „ტავ ჯორჯიასაც“ დაუკავშირდა (რომელიც თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერატორი კომპანიაა). კომპანიაში დაადასტურეს, რომ პერიოდულად ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა ამ სამუშაოების ჩატარება ასე მოულოდნელად და ავიაკომპანიების გაუფრთხილებლად არ ხდება. „ტავ ჯორჯიაში“ აცხადებენ, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე მოსალოდნელი სარემონტო სამუშაოების ზუსტი გრაფიკის შესახებ ყველა იმ ავიაკომპანიას აფრთხილებენ წინასწარ, ვინც აეროპორტით სარგებლობს. მათ შორის არის „აირზენაც“, რომელსაც სხვა დანარჩენ ავიაკომპანიებთან ერთად, ამგვარი გრაფიკი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 8 აპრილს გადაეგზავნა და „ტავ ჯორჯიას“ წარმომადგენლების განცხადებით, ეს გრაფიკი ძალაში ივნისის დასაწყისში შევიდა, ვინაიდან სწორედ ამ დროიდან დაიწყო ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე პერმანენტული სარემონტო სამუშაოები.

**და ბოლოს, რაც შეეხება სანდრა რულოვსს, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სანდრა რულოვსი თავს უფლებას აძლევს ალოდინოს ადამიანები.**

**როგორც ცნობილია, 2013 წლის 14 მაისს ოპერის თეატრში ევროპის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე, რომელსაც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი ესწრებოდა, საქართველოს პირველმა ლედიმ ნახევარი საათით დააგვიანა და ყველა მის მისვლას ელოდებოდა.**

**ნინო ჟღენტი**

ოლიმპიური ფესტივალი

# ერთი „ოქრო“ და ორი „ბრინჯაო“



**ჰოლანდიურ ქალაქ უტრეხტში დღეს დასრულდება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც ქართველმა სპორტსმენებმა ოთხი მედალი მოიპოვეს. ძიუდოისტ ერეკლე არხოზაშვილის (55 კგ) ოქროს ჯილდოზე უკვე გაუწყეთ. დანარჩენი ნადავლიც, ტრადიციულად, კიმონოიანებზე მოდის.** განსაკუთრებით გიორგი კაციაშვილმა (60 კგ) იყოჩაღა. სტარტზე მან წლევანდელი ევროპის პირველობის მესამეადგილოსანი დანიელ ბენ დავიდი (ისრაელი) დაამარცხა, ორი ვაზარით აჯობა მუსტაფა აბურამადანს (შვედეთი), შემდეგ ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან დავიდ რაისი (პორტუგალია) და ჰიდაიათ ჰეიდაროვი (აზებაიჯანი), ფინალში კი ორი იუკოთი დაჯაბნა ბელარუსი დმიტრი მინკოვი და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

მარიამ ჯანაშვილმა (52 კგ) წლეულს ივნისში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, ამდენად, უტრეხტში ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ მხრის ტრავმის გამო მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა. პირველ ორ წრეში მან სონია გონსალეს მონტეროს (ესპანეთი) და ირინა სკოპიჩს (უკრაინა) დააყრევინა ფარ-ხმალი, მეოთხედფინალში მარინე ბაუმანს (ბელგია) სძლია, თუმცა ნახევარფინალში გვენელ პატინს (საფრანგეთი) დანებდა. მარიამმა სანუგეშო ჯგუფში ლაურა აკერმანი (გერმანია) დაამარცხა და მესამე ადგილს დასჯერდა.

საქართველოს სპორტულ დელეგაციას მე-2 ბრინჯაოს მედალი სიმონ მამარდაშვილმა (66) მოუტანა. კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე მან მარკუს ფრერი (დანია), მარტინ ბეციკი (სლოვაკეთი) და ალბერტ მკრტიჩიანი (სომხეთი) დაჯაბნა, ნახევარფინალში თავად წააგო ისმაილ ჩასიგოვთან (რუსეთი), ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი დანიელ რასმუს დეკარტს წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურა – იპონით აჯობა და მესამე ადგილი დაიკავა.

**ლევსო ცინცაძე**

კალათბურთი

# ზაზა ფაჩულია: რეაბილიტაციის პერიოდი კარგად მიმდინარეობს



**საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ზაზა ფაჩულიამ, რომლის „ბაქსში“ გადასვლის შესახებ ადრევე გახდა ცნობილი, მილუოკელებთან სამწლიან კონტრაქტს ხელი ოფიციალურად მოაწერა.**

შეგახსენებთ, რომ ზაზა „ბაქსის“ ღირსებას ერთხელ უკვე იცავდა. ეს ქართველი ცენტრის ოკეანისგაღმური კარიერის დასაწყისში, 2004-2005 წლების სეზონში იყო და მაშინ ჩვენებურმა მილუოკელთა მაისურით 74 მატჩი (ოთხში სასტარტო შემადგენლობაში გახლდათ) ჩაატარა, მისი საშუალო მონაგარი კი 6 ქულა და 5 მოხსნა იყო.

მას შემდეგ იყო 8-წლიანი პერიოდი „ატლანტა ჰოუქსში“, საიდანაც 3 სეზონი ზაზამ ლარი დრიუს ხელმძღვანელობით ჩაატარა, რომელიც აწ უკვე სწორედ „ბაქსის“ მთავარი მწვრთნელია.

„იმ კლუბს დავუბრუნდი, საიდანაც ნბა-ში ჩემს ერთ-ერთ პირველ ნაბიჯებს ვდგამდი და დიდი გამოცდილებაც მივიღე. მომავალი ბატალიებისთვის აქედანვე ვემზადები. ტრავმით გამოწვეულმა უსიამოვნო პერიოდმა უკვე ჩაიარა და რეაბილიტაციის პერიოდიც კარგად მიდის“, – აღნიშნა ფაჩულიამ.

როგორც ცნობილია, ქართველმა კალათბურთელმა აქილევსის მყესზე ოპერაცია გაიკეთა და, მართალია, მცირე ვარჯიშები უკვე დაიწყო, მისი სექტემბერში დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატზე თამაში გამორიცხულია. ზაზამ ამჯერადაც დიდი გულისტკივილით აღნიშნა, რომ მომავალ ევრობასკეტზე ეროვნულ ნაკრებს ვერ დაეხმარება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

სუმო

# ჰაკუჰომ ათამდე დაამრგვალა

## მონღოლი იოკოძუნა ისევ დაუმარცხებელია



**იოკოძუნა ჰაკუჰო მორიგი ტიტულისკენ დამაჯერებლად მიიწევს. მონღოლმა გოლიათმა ნაგოიას ბაშოზე ზედიზედ მე-10 გამარჯვება სეკივაკე მიოგირიუსთან იზეიმა და ერთპიროვნულ ლიდერად დარჩა.**

**ჰაკუჰოს თითო მოგებით ჩამორჩებიან ბულგარელი ოძეკი კოტოოშუ და ბრაზილიელი მე-12 მაეგაშირა კაისეი, ხოლო აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირა აოიამას აქტივში 8 გამარჯვებაა.**

ივლისის სუპერტურნირზე მე-2 მოგება მიითვალა გაგამარუს შიკონათი ცნობილმა თეიმურაზ ჯუღელმა. ელიტარული მაკუუჩი დივიზიონის ყველაზე მძიმე სეკიტორმა დასავლეთის მე-8 მაეგაშირა კიტატაიკი დოჰიოდან ოშიდაშით გააძევა.

გაგამარუ ნაგოიაში დასავლეთის მე-2 მაეგაშირას წოდებით ირჯება, თუმცა, უკვე ცნობილია, რომ უარყოფით ბალანსს ანუ მაკე-კოშის ვერ გადაურჩება.

ჯუღელის შემდეგი მოწინააღმდეგე კომუსუბი ტოკიტენკუ იქნება, რომელსაც ასევე 8 მარცხი გააჩნია. ქართველი მონღოლ სუმოისტთან ურთიერთშეხვედრებში 2:6 მარცხდება.

შეგახსენებთ, რომ ლევან გორგაძე, იგივე ტოჩინოშინი ივლისის ტურნირიდან ტრავმის გამო მოიხსნა.

**მანუჩარ გიორგაძე**

ჩვენებურები

# ტატამზე – ქართველი მეოცნებე

**ამას წინათ სოფელ სამთავისში „ქართუ ჯგუფის“ მხარდაჭერით მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონისა და პრიზიორის, ავტოკატასტროფაში დაღუპული ვანო გამხიტაშვილის სახელობის ღია საჭიდაო გაიხსნა. აღნიშნულ მოვლენას მიეძღვნა ქართული ჭიდაობა ორ წონით კატეგორიაში. ამ ტურნირზე შმაგი შარიფაშვილმა, მართალია, მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ ლამაზი ჭიდაობით, ეფექტური ფანდებით მოხიბლა ქომაგები. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გამორჩეული ტექნიკური ოსტატობისთვის შარიფაშვილი სპეციალური პრიზით ძიუდოისტმა თამარ პატარქალაშვილმა დააჯილდოვა.**

უნებურად, ყველას გაუჩნდა კითხვა – ვინ არის თამარ პატარქალაშვილი. მოჭიდავე ქალიშვილი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია. წარმოშობით კასპის რაიონის სოფელ მეტეხიდანაა – 1990 წლის 19 ივლისს დაიბადა. შვიდი წლის იყო, მათი ოჯახი კრასნოდარის მხარეში – ქალაქ ტიხორეცკში რომ დაფუძნდა. ტატამზეც პირველი ნაბიჯი იმ წელიწადს გადადგა.

**– რატომ ჭიდაობა? – ვეკითხები თამრიკოს.**

– 12 ბიძაშვილი მყავს და ყველანი ბიჭები არიან. ბავშვობისას მათ სოფელში ნახერხმოყრილ სარბიელზე გამართული ქართული ჭიდაობის საყურებლად მივყვებოდი. ვინ იცის, რამდენჯერ მინატრია, მეც გავსულიყავი და ბიჭებს დავჭიდებოდი, მაგრამ მრცხვენოდა. თუმცა ამ ჟინმა და მამის გენებმა თავისი გაიტანა...

მამა გელა პატარქალაშვილი ყოფილი მოჭიდავეა. პირველი ფანდები ლავრენტი კაციაშვილმა ასწავლა, სტუდენტობისას მიხეილ გოგოლაური ავარჯიშებდა. საქართველოს ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში. 1967 წელს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა მოიგო თავისუფალ ჭიდაობაში. მხედრული ვალის მოხდისას გერმანიაში შეიარაღებული ძალების პირველობა სამჯერ მოიგო სამბოში. 1971, 1973 და 1975 წლებში ძიუდოში სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საქართველოს ჩემპიონატები მოიგო, ხოლო საკავშირო პირველობებზე ვერცხლის მედლებს დასჯერდა – ფინალური ორთაბრძოლები ნიკოლაი სოლოდუხინთან წააგო, რომელიც შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ტიხორეცკში სამუშაოდ გადასვლის შემდეგ იქვე კრასნოდარის მხარის სამბოს და ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ რუდოლფ ბაბოიანის თანადგომით ამავე სახეობებში ჯერ კლუბი, მერე რაიონული ფედერაცია დააარსა...

– 1997 წელს მამის ხელმძღვანელობით ძიუდოში დავიწყე ვარჯიში, – იხსენებს თამარ პატარქალაშვილი. – ერთი წლის შემდეგ ათწლიანებში რაიონის ჩემპიონი გავხდი, რამაც ჭიდაობისადმი სურვილი გამიორკეცა. 2003-2004 წლებში კრასნოდარის მხარის პირველობა მოვიგე თანატოლთა შორის.



**– გავიგე, რომ სამბოშიც წარმატებით ცდით ძალებს.**

– დიახ, კრასნოდარის მხარისა და სამხრეთის ფედერალური ოლქის პირველობები მაქვს მოგებული სამბოსა და ძიუდოში როგორც ახალგაზრდებს, ისე სტუდენტებს შორის. 2010 წელს ქალაქ ქსტოვოში რუსეთის სტუდენტური თამაშები გაიმართა სამბოში. ოთხი შეხვედრა მოვიგე და მხოლოდ ფინალი წავაგე. იმ შეჯიბრებაზე საუკეთესო ტექნიკური ჭიდაობისთვის თასით დამაჯილდოვეს.

**– რომელიც შარიფაშვილს გადაეცი.**

– არ დამნანებია. ისე ლამაზად იჭიდავა შმაგიმ, რომ ნამდვილად ეკუთვნოდა განსაკუთრებული პრიზი.

**– სამბო-ძიუდოს ილეთების ქუჩაში გამოყენება თუ დაგჭირვებია?**

– იყო ერთი შემთხვევა: შარშან კრასნოდარში მე და ჩემი მეგობარი გოგონა ორმა ნასვამმა ბიჭმა ძალიან შეგვაწუხა. რომ არ მოგვეშვნენ... თუმცა, ეს სალაპარაკოდ არ ღირს.

**– საქართველოს სახელით ჭიდაობაზე არ გიფიქრიათ?**

– ბევრჯერ მიოცნებია, სამშობლოს სახელით გამოვსულიყავი საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ აქამდე ეს შეუძლებელი იყო: ყუბანის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის უკვე მეხუთე კურსის სტუდენტი ვარ – წარჩინებით ვსწავლობ. შარშან ფირმა „მითანაში“ გავიარე საწარმოო პრაქტიკა. ახლაც ამ ფირმაში ვარ ერთთვიან კურსებზე. ჭიდაობასაც ოდნავ შევეშვი. შარშან სტუდენტებში კრასნოდარის მხარის და სამხრეთის ფედერალური ოლქის პირველობები რომ მოვიგე, მას შემდეგ მნიშვნელოვან ტურნირზე არც გამოვსულვარ – სწავლას დიდი დრო მიაქვს. გაისად უნივერსიტეტს დავამთავრებ და სამშობლოში დავბრუნდები ოჯახთან ერთად. აი, მერე კი ნამდვილად ავისრულებ ოცნებას – საერთაშორისო სარბიელზე ერთხელ მაინც გამოვიდე საქართველოს სახელით.

**– გამოდის, რომ ჭიდაობისთვის თავის დანებებას არ აპირებ.**

– ჯერ ამაზე ფიქრი ნაადრევია (დღეს თამარ პატარქალაშვილს 23 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!). ოცნებას ასრულება უნდა...

**ვაჟა დანელია**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

ინტერნეტიდან

## ანდრეა პირლო:

# იტალიელი ქალები ყველაზე ლამაზები არიან!

**რომელ ქვეყანაში უფრო ლამაზი ქალები არიან – ეს არის პარადოქსებით აღსავსე თემა, რომელზეც მამაკაცები ყოველთვის კამათობდნენ, დღესაც კამათობენ და მომავალშიც აუცილებლად იკამათებენ. ერთი ისაა, რომ ჩვენს კოხტა პლანეტაზე, როგორც წესი, ყველას თავისი ქვეყნის ლამაზმანები ესიმპათიურება.**

ამ კუთხით გამონაკლისი არც ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი ანდრეა პირლოა, რომელსაც მიაჩნია, რომ მთელ დუნიაზე იტალიელი ქალების ფასი არსად არაა და რაკი მთელი მსოფლიო აქვს მოვლილი, საკუთარი გამოცდილება და წარსული ამ არგუმენტის გასამყარებლად მოჰყავს.

„ბევრგან მინახავს ლამაზი ქალები. განსაკუთრებით რუსი და უკრაინელი გოგონები მომწონებია. მაგრამ, გულწრფელად გეტყვით, რომ იტალიელი ქალები ყველაზე ლამაზები არიან. ამას არ ვამბობ მხოლოდ იმიტომ, რომ მე თვითონ იტალიელი ვარ“, – ამბობს მრავლისმნახველი პირლო.

**გიორგი შოთაძე**



ეპიტაფია

# აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი **თეიმურაზ იოსელიანი**.

იგი დაიბადა 1929 წლის 21 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი და იმავე წელს სწავლა განაგრძო ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1958 წლიდან თეიმურაზ იოსელიანი მუშაობს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ მუშაკად, შემდეგ — უფროსი მეცნიერი მუშაკის, ხოლო 1975 წლიდან — ლაბორატორიის გამგის თანამდებობებზე.

1960 წელს თეიმურაზ იოსელიანს მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1969 წელს კი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1970 წლიდან იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი, ხოლო 1978 წლიდან — ამავე კათედრის გამგე.

1983 წელს თეიმურაზ იოსელიანი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

აკადემიკოს თეიმურაზ იოსელიანის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო- კვლევითი მოღვაწეობა მოიცავს ნეიროფიზიოლოგიის სხვადასხვა სფეროს — პერიფერიული მამოძრავებელი აპარატის ფიზიოლოგიით დაწყებული და ხერხემლიან ცხოველთა ფსიქონევრული მოქმედებით დამთავრებული; თეიმურაზ იოსელიანმა, პირველად საქართველოში, გამოიყენა ელექტროგრაფული კვლევის უნატიფესი მეთოდიკა — მიკროელექტროდული ტექნიკა. იგი იკვლევს დიდი ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა სტრუქტურების ნეირონულ ორგანიზაციას, თავის ტვინის კრუნჩხვით რეაქციებს და მათ დამთრგუნველ ნეირო-ჰუმორალურ მექანიზმებს. მან შეისწავლა კუნთოვანი და ნერვული ბოჭკოების ფიზიოლოგიის ზოგიერთი ასპექტი, ტონური და ტეტანური ნერვ-კუნთოვანი აპარატის პესიმალური და ოპტიმალური ეფექტები, ზურგის ტვინის რეფლექსური მოქმედების ნერვული მექანიზმები, თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმები, მიკროელექტროდული ტექნიკის გამოყენებით — თავისა და ზურგის ტვინის ცალკეულ ნეირონთა უჯრედშიგა და უჯრედგარეთა ელექტრული პოტენციალები.

აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი არის მრავალარხიანი მიკროელექტროდების გამოყენების ფუძემდებელი საქართველოში.

კვლევითი მუშაობის პარალელურად იგი ნაყოფიერ და ინტენსიურ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდა. 1960 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის მიერ მიწვეული იყო ექსპერიმენტული კვლევისათვის და ნერვ-კუნთოვანი სისტემის ზოგად ფიზიოლოგიაში ლექციების კურსის წასაკითხად, რომელსაც მანამდე, დღიდან კათედრის დაარსებისა, მისი დაუვიწყარი მასწავლებელი - ივანე ბერიტაშვილი კითხულობდა.

აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი არაერთგზის იყო მიწვეული საზღვარგარეთ, როგორც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, ასევე სალექციო კურსების წასაკითხად.

მის მიერ შესრულებულია ერთობლივი გამოკვლევები გერმანელ და ამერიკელ კოლეგებთან, გერმანიაში ქ. იენისა და აშშ-ში ლოუელის უნივერსიტეტებში. თ. იოსელიანი გახლდათ თავის ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, აშშ-ის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სახელგანსმენილი მკვლევარი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია, მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

1998 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი დაჯილდოვდა „2000-წლეულის ოქროს საპატიო მედლით“ და სიგელით — „1998 წლის გამოჩენილი ადამიანი“. იგი დაჯილდოებულია, აგრეთვე, ი. ჯავახიშვილის, გოეთეს, ჰეკელის, მ. მუხაძისა და ზ. ფანასკერტელის სამახსოვრო მედლებით. მისი მშობლიური ქუთაისის პირველ საშუალო სკოლაში დაარსებულია თ. იოსელიანის სახელობის პედაგოგიური და სამეცნიერო ლაბორატორია.

ქართულ მეცნიერებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით,

აკადემიკოს თეიმურაზ იოსელიანის სახელი დაუვიწყარი დარჩება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის, მთელი ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**
**ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფიზიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

**თეიმურაზ იოსელიანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი — 18, 19 VII, 17 სთ. გამოსვენება 20 VII, 14 სთ. მისამართი: ბახტრიონის ქ. 8, II სად. ბინა 28.

---

ალიან-ჩალიანი

## მერაბიშვილს ნანუაშვილის ერიდება, უცხოელებისა - არა

ვანო მერაბიშვილს დარღვევებთან დაკავშირებით სახალხო დამცველისთვის არ მიუმართავს, - ამის შესახებ ომბუდსმენმა უჩა ნანუაშვილმა ჟურნალისტებს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ განუცხადა.

რაც შეეხება საკითხს, იყო თუ არა საჭირო მერაბიშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება, უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, რომ ეს გამოძიებამ უნდა დაადასტუროს, რამდენად მტკიცეა მიღებული გადაწყვეტილება.

— გასათვალისწინებელია, რომ ვანო მერაბიშვილს თავიდან ერთი ბრალდება ჰქონდა, შემდეგ სხვა მუხლებით მოხდა მისთვის ბრალის წაყენება. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ პროცესი იყოს ღია და გამჭვირვალე. რაც შეეხება დარღვევის ფაქტებს, ოჯახის წევრებს არსებული კანონმდებლობით, უფლება არ აქვთ განახორციელონ ვიზიტი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, — განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ თავად ვანო მერაბიშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ მოუნახულებია, თუმცა, მისი წარმომადგენლები ე.წ. მატროსოვის ციხეში მერაბიშვილთან იმყოფებოდნენ.

## ბაღდათში წყალმომარაგების სისტემა მოწესრიგდა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში, ბაღდათის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები დაასრულა.

მუნიციპალური განვითარების ფონდის ინფორმაციით, პროექტის საერთო ღირებულება 670,088.79 ლარია. სამუშაოებს ქართული კომპანია შპს „ბელდ ინვესტი“ ახორციელებდა. სამუშოების მიმდინარეობისას ადგილზე 80 ადამიანი იყო დასაქმებული, აქედან 70 % ადგილობრივი მოსახლე. სამუშოები 2012 წლის ივნისს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდა.

პროექტის ფარგლებში, ბაღდათის წყალსადენი რუდულას სათავე ნაგებობაზე ნედლი წყლის სალექარის შიდა ზედაპირი ჰიდროსაიზოლაციო მასალით დამუშავდა, ასევე მოეწყო საქლორატორო შენობა, საფილტრი სადგურის მშენებლობა და ფილტრების მოწყობა, ასევე სუფთა წყლის რკინაბეტონის რეზერვუარის მშენებლობა, ფილტრების გასარეცხი 2 ლითონის 25-ტონიანი რეზერვუარის მონტაჟი და 1250 ცალი წყალმზომი კვანძის მოწყობა.

პროექტის განხორციელებამდე წვიმის დროს წყალსადენი ქსელი ბინძურდებოდა და ბაღდათის მოსახლეობას სასმელად უვარგისი წყალი მიეწოდებოდა, პროექტის დასრულების შემდეგ კი წვიმის დროს წყალსადენი ქსელი აღარ დაბინძურდება და ბაღდათის მოსახლეობის 84% და მიმდებარე 5 სოფელი — წაბლარახევი, დაფენიკი, ნერგეთი, დიმი და ფერნასის მოსახლეობა სუფთა და დაქლორილ სასმელ წყალს მიიღებს.

ინტერპრესი

---

ინფორმაცია

## ამოღებულია დიდი ოდენობის „მარიხუანა“

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნარკოდანაშაულისა და ქურდობისთვის ნასამართლევი, 1983 წელს დაბადებული მელენტი დ. ნარკოდანაშაულისთვის მარტვილის რაიონის სოფელ ონოღიაში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს საკუთარი საცხოვრებელი სახლის მახლობლად, უკანონოდ მითვისებულ მიწის ნაკვეთში კულტივირებული ჰქონდა 116 ძირი კანაფი. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 85 კილო და 250 გრ ნედლი „მარიხუანა“.

## ზემფირას კონცერტი ჩაიშალა

ზემფირას კონცერტი, რომელიც საქართველოში 22-24 ივლისს უნდა გამართულიყო, ჩაიშალა. ამის შესახებ განცხადება მომღერლის ოფიციალურ გვერდზე განთავსდა.

— გუშინ 16:00 საათზე შემატყობინეს, რომ კონცერტები საქართველოში ხმის და განათების აუცილებელი აღჭურვილობის არარსებობის გამო ჩაიშალა. ახალმა ამბავმა გული ამიცრუა და გამანაწყენა. საქართველო, ვწუხვარ! უფრო დეტალურ ინფორმაციას კომპანია მოგაწვდით. მე უკვე შვებულება დამეწყო , — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

---

ექო

# ვინა ხართ, რამდენი, რა გინდათ თქვენა?..

**ამ შეკითხვითა თუ შეკითხვებით არასამთავრობო ორგანიზაციებს მივმართავ, მოკლედ საწოდებლად, არასამთავრობოებს, უფრო მოკლედ — ენჯეოებს. კაი ხანია, მაგათი „ინსტიტუტი“ შემოლაწუნებას იმსახურებს და, როგორც იქნა, აგერ „გუშლამ“ გაისმა შესაბამისი ხმა, აქვე სათქმელად სავსებით დამსახურებული, — ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან...**

ვინ არიან და რა უნდათ, მე პირადად გამიჭირდება პასუხის გაცემა; აი, რამდენი არიან, ეს უფრო „პასუხგაცემადია“ — უთვალავი, იმდენი, რომ დროა გამოთქმა „როგორც ნაწვიმარზე სოკოები, ისე მრავლდებიანო, ასე შეიცვალოს: „როგორც ნასოროსალზე თუ ნათავისუფლებინსტიტუტარზე არასამთავრობოებო“... კიდევ იმდენიც, რომ უკვე შეადგინეს მეხუთე კი არა, მთელი მეექვსე კოლონა.



ყველგან მოსრიალენი, ყველგან ცხვირის ჩამყოფნი (მათი დამდოლარებელი თუ დამლარებელი ამერიკელ-ევროპელებივით), ყველგან ენის გამომყოფნი სიტუაციის მოსასინჯავად. მე შენ გეტყვი და საერთო სახელის, ენჯეოების დახურდავება გაუჭირდებათ: ქალები მშვიდობისთვის, მშვიდობა ქალებისთვის, ქალები ქარებისთვის, კაცები ნაცებისთვის, საერთაშორისო გამჭვირვალობა, ქართული ბუნდოვანება, წითელი კოჭი, საქართველოს გზა, საქართველოს ავტობანი, ჩვენი უფლებებისთვის, ფურთხის ღირსი საქართველო და ა. შ. და ა. შ. და საბოლოოდ, აშშ... ყოფილან, ხომ, უთვალავნი?..

განა გასაკვირი არაა, რომ, როცა ქვეყანაში რამე ხდება, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო, ეს ჩვენი სიდარბაისლით სახელგანსმენილი ტელეარხები (მოდური, თუმცა, უსწორო თქმით, ტელევიზიები), მოვლენის შესაფასებლად ყოველთ უწინ, არასამთავრობოებს მისცვივდებიან ხოლმე ტელეკამერებით; და არის ენჯეოების ბელადების, „ჯან-ღონით სავსე ახალაზრდა იდეებისა და ბიძიების“ ერთი ტყლარჭვა-პრანჭვა ეკრანიდან, რომლებიც „თავიანთი მგზნებარე ჰუმანიზმითა და შესაბამისი მადით, დაუფასებელ ამაგს სდებენ ჩვენს უკომპასოდ მობორიალე საზოგადოებას“ (ციტატა „სრ“-ის ზემოთ ირიბად ხსენებული პუბლიკაციიდან); და უკომპასოდ რომ ვბორიალობთ და კიდევ დიდხანს ვიბორიალებთ, ეს, გარკვეულწილად, არასამთავრობოთა წყალობითაც არის.

აქვე სათქმელად, ეს ჩვენი სამართლიანობით, კორექტულობით, ობიექტურობითაც ცნობილი ტელეკომპანიები, ამა თუ იმ დანაშაულის „გაშუქებისას“, ასევე ყოველთ უწინ, ადვოკატებს აალაპარაკებენ ხოლმე, რომელთა ენაპირს თუ დავუჯერებთ, მათ სამეურვეოებს არასდროს არ უმტკიცდებათ ბრალეულობა...

ენჯეოებს უნდა მივუბრუნდე დასასრულ. თქვენც შეგიმჩნევიათ, ალბათ, ზოგჯერ მომენტში უბრალო ნათქვამიც როგორ გამახსოვრდება მთელი სიცოცხლის სიგრძეზე... ოჯახს გვიან მოვეკიდე და ბერბიჭობისას, მრავალი წლის წინათ, ერთი ძველი კეთილი ნაცნობი შემხვდა, თავად უკვე ცოლ-შვილის პატრონი. მომიკითხა — რა ქენი, ბიჭო, ცოლი არ შეირთეო? „არა“ რომ მოისმინა, გულით მითხრა: — შეირთე, ძმაო, შეირთე, ჯერ ცოლიანი კაცი რა არის და მერე უცოლო რა უნდა იყოსო...

ჰოდა, ამგვარი გარდათქმის პატარა იდეა გამიჩნდა (სხვა დროსაც დამიჩივლია, არ ვიცი, იდეებ რა უყო-მეთქი...): ჯერ ჩვენი სამთავრობოები რანი არიან და არასამთავრობოები რა უნდა იყვნენ...

არასამთავრობოებო, სწორდით! სმენა! ჩვენი უკომპრომისოდ მობორიალე საზოგადოების დასაკვალიანებლად ნაბიჯით (გნებავთ, სირბილით) იარ!..

**ბერდია ბედოიძე**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

## ჩვენი კარაბადინი

# მამაკაცური ძალა

## ერექტილური დისფუნქციის არაჩვეულებრივი მიზეზები

**იმის შესახებ, რომ პოტენციის დარღვევასთან მივყავართ სტრესებსა და ფსიქოლოგიურ პრობლემებს, უკანასკნელ ხანებში ხშირად საუბრობენ.**

**და მაინც უმეტეს შემთხვევაში ერექტილური დისფუნქციის წარმოქმნის მიზეზები — ფიზიოლოგიურია. თანაც ზოგიერთი მათგანი ერთი შეხედვით სულაც არაა დაკავშირებული სქესობრივ სფეროსთან.**

### 1. აპნოე ძილში

**ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს:** მამაკაცური ძალის შემცირებასთან მიყვანა შეუძლია ძილში ობსტრუქტიული აპნოეს სინდრომს. ასე უწოდებენ სპეციალისტები მდგომარეობას, როდესაც ადამიანს ღამით უჩნდება სუნთქვის დროებით შეჩერება. ძლიერი სქესის ცხრაასი წარმომადგენლის გამოკვლევის შედეგად ექიმებმა დაადგინეს: ისინი, ვისაც ეს სინდრომი აწუხებს, ორჯერ უფრო ხშირად ჩივიან ერექციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

### რა შუაშია აქ კავშირი?

**იმათ, ვისაც აპნოე აწუხებს, ძილში სასუნთქი გზების კედლები ეკვრებათ ერთმანეთთან ისე, რომ გასასვლელი ჰაერისთვის თითქმის აღარ რჩება.** ჟანგბადი არ შედის ფილტვებში, ტვინი სავსებით სამართლიანად აღიქვამს ამას, როგორც საფრთხეს სიცოცხლისათვის, ამიტომ ხდება მიკროგამოღვიძება. ადამიანი ჩაისუნთქავს და კვლავ იძინებს. ასე შეიძლება გაგრძელდეს ათობით შემთხვევაში ერთ ღამეს (მძიმე შემთხვევებში — ხუთასამდეც კი). რასაკვირველია, ეს ძლიერ არღვევს ძილის სტრუქტურას და, მართალია, დილით ადამიანს არ ახსოვს, რომ ღამით იღვიძებდა, თავს გრძნობს დაღლილად და მოწყვეტილად.



ეს თავისთავად ამცირებს ინტერესს ინტიმური სიახლოვისაკენ, მაგრამ ძირითადი პრობლემა სხვა რამაა: სასქესო ჰორმონი ტესტოსტერონი, რომელიც კარგ პოტენციას უზრუნველყოფს, გამომუშავდება სწორედ ღამით, ნელი ძილის ღრმა ფაზის დროს. აპნოეთი დაავადებულები ხშირად ამას ვერ აღწევენ, და, მაშასადამე, მამაკაცის ჰორმონის შემცველობა მათ სისხლში კატასტროფულად ქვეითდება.

### რა ზომები მივიღოთ?

**პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ერექტილური დისფუნქციის მკურნალობა არ იძლევა თითქმის არანაირ შედეგს, თუ ამ დროს გვინარჩუნდება ძილში სუნთქვის შეჩერება. სამაგიეროდ, აპნოეს თავიდან მოშორებას მივყავართ იმასთან, რომ ჯანსაღი პოტენცია აღდგება რაიმე დამატებითი თერაპიის გარეშე.**

სუნთქვის შეჩერებები ხშირად განპირობებულია ხახის კუნთების დასუსტებით. კუნთების „დაჭიმვა" ამ უბანში შეიძლება ქირურგიულად, ხოლო თუ ოპერაციაზე არ გინდათ, რომ დათანხმდეთ, შეიძლება გამოყენებული იქნეს სიპაპ-თერაპია: ძილის წინ უნდა წამოიცვათ სპეციალური ნიღაბი, რომელშიც წნევის ქვეშ შემოდის ჰაერის ნაკადი. იგი არ აძლევს სასუნთქ გზებს დაცემის საშუალებას, და ძილი იქნება ჯანსაღი.

ასევე, სასურველია გახდომა: აპნოე ძილში ყველაზე ხშირად შეენიშნებათ მსუქან ადამიანებს, და წონის დაკლება მნიშვნელოვნად ამცირებს სუნთქვის შეჩერების ოდენობას. სხვათა შორის, კარგ ფორმაში თავის მოყვანა სასარგებლოა პოტენციისთვისაც — მსუქან ადამიანებს მასთან დაკავშირებული პრობლემები გაცილებით ხშირად აქვთ.

### 2. ღრძილების დაავადებანი

**თურქმა მეცნიერებმა ინენიუს უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ ერექტილურ დისფუნქციასთან შეიძლება მიგვიყვანოს გინგივიტმა და პაროდონტიტმა.** თანაც მძიმე შემთხვევებში, როდესაც ღრძილებში ძლიერი სისხლდენაა, ეს რისკი სამჯერ და მეტად იზრდება, იმ მამაკაცებთან შედარებით, ვისაც სტომატოლოგიური პრობლემები არა აქვთ.

### რა შუაშია აქ კავშირი?

**გინგივიტისა და პაროდონტიტის დროს იზრდება სისხლში C რეაქტიული ცილის შემცველობა, რომელიც ანთებაზე მიუთითებს.** ორგანიზმში ამ ნივთიერების გაზრდილი დონე ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს — ეს დიდი ხანია დადგენილია. C რეაქტიული ცილის გამო სისხლძარღვთა კედლების მოფენა ხდება უფრო ნაკლებად ელასტიკური და უფრო მეტად მოწყვეტადი, აქ მნიშვნელოვნად უფრო მარტივად გამოიყოფა ქოლესტერინის ბალთები. შედეგად ვითარდება ათეროსკლეროზი, იგი კი ერექტიული დისფუნქციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ნორმალური ერექციისთვის საჭიროა, რომ სისხლს დაბრკოლებების გარეშე შეეძლოს შევიდეს მცირე მენჯის ორგანოებში და უშუალოდ სასქესო ასოში. ქოლესტერინის ბალთები მნიშვნელოვნად ავიწროებენ სისხლძარღვების ღრეჩოს, ქმნის მისთვის ბარიერს — აქედანაა პოტენციის დაქვეითებაც.

### რა ზომები მივიღოთ?

**ღრძილების დაავადებათა მკურნალობა აუცილებელია — მთელმა რიგმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ხახაში ანთების შემცირებას მივყავართ სისხლძარღვთა მდგომარეობის გაუმჯობესებასთანაც.** რასაკვირველია, თუ ათეროსკლეროზი მიშვებულია, მხოლოდ სტომატოლოგიური მკურნალობა ვერ გვიშველის. უნდა მოვეთათბირო კარდიოლოგს სპეციალური პრეპარატების მიღებასთან დაკავშირებით. აგრეთვე — შევამციროთ ცხოველური ცხიმების მიღება და თავი დავანებოთ მოწევას.

ამის პარალელურად აწარმოებენ თავად ერექტილური დისფუნქციის მკურნალობას. იგი შეიძლება იყოს ქირურგიული, როდესაც დაზიანებულ სისხლძარღვს ცვლიან ახლით (შუნტირება), ან კონსერვატიულით. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი უნდა ავირჩიოთ, ექიმმა უნდა მიიღოს.

### 3. შაქრის დიაბეტი

**იმის შესახებ, რომ ეს დაავადება ძლიერ გავლენას ახდენს პოტენციაზე, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების მიჩიგანის უნივერსიტეტთან არსებული სამედიცინო ცენტრის მეცნიერებმა. სხვათა შორის, ამ განცხადებაში არაფერია ახალი.** ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს სპეციალისტებმა სხვადასხვა ქვეყნიდან დააფიქსირეს: მამაკაცებს, ვისაც დიაბეტი აწუხებს, პრობლემები „ცოლქმრულ მოვალეობასთან" დაკავშირებით უჩნდებათ სამჯერ უფრო ხშირად და უვლინდებათ ისინი 10-15 წლით ადრე, ვიდრე ჯანმრთელ თანატოლებს.

### რა შუაშია აქ კავშირი?

**დიაბეტი ერთბაშად ორ მიზანში ურტყამს. ჯერ ერთი, ზიანდება სისხლძარღვები: დიაბეტიკები მეტად ექვემდებარებიან ათეროსკლეროზს, ხოლო პოტენციაზე მისი გავლენის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.** მეორეც, სისხლში გლუკოზის დონის ამაღლებას ნეიროპათიებთან მივყავართ — ესენია ნერვულ დაბოლოებათა, მათშორის სასქესო ასოში მყოფისაც, დაზიანება. შედეგად რეფლექსი, რაც აუცილებელია ერექციის დადგომისათვის, არ ჩნდება, თუნდაც მამაკაცი „თავით" გრძნობდეს აღგზნებას.

### რა ზომები მივიღოთ?

**უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მოვახდინოთ დიაბეტის კომპენსირება შაქრის დასაწევი პრეპარატების ან ინსულინის ინიექციის მეშვეობით. სისხლის გლუკოზის დონის ოდნავ შემცირება შეიძლება დიეტის დახმარებითაც, რაც საშუალებას მოგვცემს თანდათანობით შევამციროთ წონა, აგრეთვე, ფიზიკური დატვირთვის გაზრდა. ამ ფონზე უნდა გაუმჯობესდეს სქესობრივი ცხოვრებაც.**

მიუხედავად ამისა, ბევრისთვის, ვისაც დიაბეტი აწუხებს, აუცილებელია ერექტილური დისფუნქციის დამატებითი თერაპია. ფრთხილად უნდა ვიყოთ იმ საშუალებებთან, რომლებიც აძლიერებენ პოტენციას — ისინი ზრდიან დატვირთვას გულზე, დიაბეტიკებს კი იგი ხშირად ისედაც აწუხებს. უმჯობესია, მივმართოთ ანდროლოგს და ინდივიდუალურად შევარჩიოთ თერაპია.

ЗДОРОВЬЕ

## კადრი



რედაქცია
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## ცინცხალი ანეკდოტები

**როგორც კი იგრძნო პენსიონერმა მიხომ, რომ ღამით მას სიკვდილი ეწვეოდა, ორი აბი ვიაგრა დალია. დილით კმაყოფილმა სიკვდილმა ჩუმად დატოვა მიხოს ოთახი.**

* * *

**— მიხო სად ისწავლე ასეთი გინება?**
**— ამას ვერ ისწავლი, ეს განგების საჩუქარია.**

* * *

**ერთმანეთს ქალის ლიფი და ბიკინი შეხვდნენ:**
**— ოი, როგორ დამღალა წინა კვირამ, — წუწუნებს ლიფი, — ყოველდღე მბურჯგნიდნენ, მსრესდნენ, კინაღამ დამგლიჯეს. ალბათ, არც შენ დაგდგომია კარგი დღე, არა?**
**— არა, ყველაფერი კარგად იყო, — უპასუხებს ბიკინი, — ჩანთაში ვინ შემაწუხებდა?**



* * *

**— მიხო, აბა, მითხარი, ტურგენევის „მუმუში" ვის არ შეეძლო ლაპარაკი?**
**— ნავს, მასწ.**
**— არა ხარ მართალი, ლაპარაკი არ შეეძლო გერასიმს. დაჯექი, ორიანი!**
**— ნავს რა, შეეძლო?**

* * *

**მივიდა სვანი ბანკში და თავისი ანგარიშიდან მთელი თანხა მოხსნა, ათი წუთის შემდეგ კი იგივე თანხა ბანკირს უკან დაუბრუნა.**
**— რატომ აკეთებთ ამას? — ეკითხება გაკვირვებული ბანკის თანამშრომელი.**
**— რაო, კაცო, უფლება არა მაქვს, რომ ჩემი ფული გადავთვალო?**

* * *

**ღრმად მოხუცი ქალი გზაჯვარედინთან დგას. მუხლები და ხელები უკანკალებს, თავს ვერ იჭერს.**
**— შვილო, ვერ მომეხმარები ქუჩაზე გადასვლაში? — ეკითხება იგი ახალგაზრდას.**
**— როგორ არა, ბებო, როგორც კი მწვანე აინთება, დაგეხმარები.**
**— მწვანე? მწვანეზე უშენოდაც კარგად გადავალ!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24